პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცამეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკ-ის, ტფ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ორშაბათი, 18 დეკემბერი 1933 წ. № 290 (3846)

ლეიპციგის სასამართლოს ფაშისტური კომედია დასრულდა

„განაჩენს" მოელიან 23 დეკემბერს

ყველა ქვეყნის მუშათა მასები დაჟინებით მოითხოვენ ამხ. ტორგლერის და ბულგარელი კომუნისტების დახსნას ფაშისტ ჯალათებისაგან

სანიმუშოდ ჩაატარეთ

მოსავლის და შემოსავლის საბოლოო განაწილება კოლმეურნეობებში

დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან პარტიის და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის მოწოდებას ყველა კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევის შესახებ მთელი საკოლმეურნეო სოფელი უდიდესი ენტუზიაზმითა და აღტაცებით შეხვდა. ჯერ კიდევ საბოლოოდ შეჯამებული არ არის სამეურნეო წლის საერთო შედეგები კოლმეურნეობებში, მაგრამ ერთი რამ აშკარა და ნათელია: მოხდა უდიდესი გარდატეხა საკოლმეურნეო წარმოების გამაგრების საქმეში, მტკიცდება რკინისებური შრომის დისციპლინა, დიდდება მოსავლიანობა და შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში, ჯერ არ ნახული სისწრაფით იზრდება კოლმეურნეთა შემოსავლიანობა და დღითი-დღე იზრდება კოლმეურნე გლეხების მატერიალური და კულტურული დონე.

„ჩვენი მხრით—მიმართავდა ამხ. სტალინი დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის დელეგატებს — საჭიროა მხოლოდ ერთი,—იშრომოთ პატიოსნად, განაწილოთ საკოლმეურნეო მოსავალი შრომის მიხედვით, გაუფრთხილდეთ საკოლმეურნეო ქონებას, ტრაქტორებს, მანქანებს, კარგად მოუაროთ ცხენს, შეასრულოთ თქვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დავალებები, განამტკიცოთ კოლმეურნეობები და განდევნოთ იქიდან შემძვრალი კულაკები და მათი დამქაშები". ის უდიდესი გარდატეხა, რომელიც მოხდა საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებასა და თვით კოლმეურნე მასების შეგნებაში გვიჩვენებს, რომ კოლმეურნე გლეხობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების და პოლიტგანყოფილებების ხელმძღვანელობით მტკიცედ მიყვება და ასრულებს ბელადის მითითებას.

მიმდინარე სამეურნეო წელი კოლმეურნეობებში თვალსაჩინო ეფექტიანია. შრომის მოწესრიგების, საწარმოო დავალებათა დროზე შესრულების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმიანი გატარების შედეგად კოლმეურნეობებმა წელს შესძლეს ერთი-ორად გაედიდებიათ მოსავლიანობა. მარტო ის ფაქტი, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა ძირითადად უკვე შესრულებულია მოწმობს კოლმეურნეობათა უდიდეს წარმატებას.

რაც შეეხება კოლმეურნეთა შეძლებულად გადაქცევას, ამ მხრივ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მოპოვებულია უდიდესი გამარჯვებები. აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში მარტო მარცვლეულის განაწილების შედეგები მოწმობს, რომ კოლმეურნის შრომა-დღის ანაზღაურება გაზრდილია ორჯერ და ზოგ შემთხვევაში სამჯერაც. ავიღოთ მაგალითისათვის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომა" (სიღნაღის რაიონი). ამ კოლმეურნეობაში 1932 წელს თუ შრომა დღეზე კოლმეურნემ მიიღო 6,4 კილოგრამი მარცვლეული, წელს იქ შრომა-დღეზე კოლმეურნეებს მიეცათ 14 კილოგრამი; მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (ქობულეთის რაიონი) შარშან თუ კოლმეურნეებს შრომა-დღეზე ერგოთ თითოდ წილი 4 მანეთამდე, წელს იქ შრომა-დღეზე კოლმეურნეები იღებენ 16—17 მანეთს. სტალინისის რაიონის სოფ. მოხისის, ქვენატკოცას, წრომის და სხვა კოლმეურნეობებში შრომა-დღეზე თითო კოლმეურნე წელს იღებს 35—40 პროცენტით მეტ ფულად და ნატურალით შემოსავალს ვინემ გასულ წელს.

ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება ყველა რაიონის კოლმეურნეობებიდან. ყოველივე ეს მოწმობს, რომ კოლმეურნეობები სამეურნეო ეფექტიანობის მხრივ უფრო და უფრო რენტაბელური ხდებიან, მტკიცდებიან და მაგრდებიან.

ამჟამად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების და პოლიტგანყოფილებების წინაშე დგას ძეტად საპასუხისმგებლო ამოცანა.— ესაა კოლმეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილების სწორად ჩატარება.

ჯერ კიდევ წინასწარი ავანსების [illegible] მოსავლის განაწილების დროს გამომჟღავნდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ბევრგან ხორბლის მოსავალი ზაფხულშივე გაანაწილეს, ისე, რომ მხედველობაში არ მიუღიათ შემოდგომაზე გამომუშავებული შრომა-დღეების ანაზღაურება. ასე მოხდა მაგალითად ბორჩალოს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში, სტალინისის რაიონის 7 კოლმეურნეობაში, აგრეთვე გურჯაანის, კასპის, გორის და სხვა რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი, რომელსაც თითქმის ყოველწლიურად აქვს ადგილი მოსავლის და შემოსავლის განაწილებაში ესაა — განაწილების ჩატარების დროს იმის მხედველობაში არ მიღება, თუ წლის განმავლობაში როგორ წარმატებით მუშაობდა მთელი ბრიგადა. გურჯაანის რაიონის არც ერთ კოლმეურნეობებში მარცვლეულის მოსავალი არ გაუნაწილებიათ ცალკე ბრიგადების მუშაობის ხარისხის მიხედვით.

აქა-იქ მოსავლის და შემოსავლის განაწილებაში ამჟამადაც აქვს ადგილი კულაკურ გათანაბრებას, არის შემთხვევები, როდესაც ზარმაცი, შრომის დეზერტირი ავანსის სახით ღებულობს უფრო მეტ პროდუქტებს და ფულს კოლმეურნეობიდან, ვიდრე მოწინავე დამკვრელი კოლმეურნე. ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც მოსავლის განაწილებას ატარებენ კოლმეურნეობისათვის საჭირო ფონდების გამოყოფის ჩაუტარებლად. ამას ადგილი ქონდა ახლახან ხულოს და ბათომის რაიონების რამოდენიმე კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის საბოლოო განაწილების დროს ყველა ეს შეცდომები და დამახინჯებანი გათვალისწინებული და სასწრაფოდ გამოსწორებული უნდა იქნას.

მოსავლის და შემოსავლის საბოლოო განაწილებამდე თვითეულ კოლმეურნეობის მიერ მთლიანად შესრულებული უნდა იქნას სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ყველა ვალდებულებები, უნდა გამოიყოს განუყოფელი, სათესლე, სადაზღვევო და საფურაჟო ფონდები, მთლიანად აუნაზღაურდეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურს ნატურ-გადასახადი და გასტუმრებული იქნეს ვალები. კოლმეურნეობებისათვის საჭირო ფონდების გამოყოფა, უნდა მოხდეს საკ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 2 და 18 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული იმ ფონდების გამოყოფა, რომელიც ამ დადგენილებით არ არის გათვალისწინებული.

მოსავლის და შემოსავლის საბოლოო განაწილების სწორად ჩატარება უმთავრესად დამოკიდებულია როგორც მოსავლის, ისე გაცემული ავანსების და შრომა დღეების ზუსტი აღრიცხვისაგან. საჭიროა ახლავე ყველა ზომების მიღება აღრიცხვის მოწესრიგებისათვის, პოლიტგანყოფილებებმა აქა-იქ დაიწყეს კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში შეტანილ შრომა-დღეების სისწორის შემოწმება. ეს საჭიროა და აუცილებელია ყველა კოლმეურნეობებში. ამისოდ შეუძლებელია შრომა-დღეების განიავების აღმოფხვრა, რომელსაც ამჟამად ზოგან აქვს ადგილი.

ბევრგან მტკიცედ არ სრულდება სადირექტივო ორგანოების კატეგორიული მითითება კოლმეურნეობების ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ. ამის მოთმენა ყოვლად შეუძლებელია. ეს ხარჯები ყველა კოლმეურნეობებში გაწეულ უნდა იქნას მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც დაწესებულია საბჭოთა კავშირის საკ. კომისია-მუშგლეხინის დადგენილებით, ის ფულად ნაწილში არ უნდა აღემატებოდეს კოლმეურნეობის მთელი შემოსავლის 1,5 პროცენტს.

კოლმეურნიობებში მოსავლის და შემოსავლის საბოლოო განაწილების შედეგები ფართოდ უნდა დამუშავდეს კოლმეურნეთა კრებებზე მშრომელ ერთპიროვნული მეურნეთა მონაწილეობით.

მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილებამ კოლმეურნეობებში შედეგად უნდა მოგვცეს კოლმეურნეთა კიდევ უფრო გამაგრება, კოლმეურნეთა საწარმოო აქტივობისა და ენტუზიაზმის ახალი აზვირთება, სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა, ბამბის აღების და ჩაის უხეში ფოთლის კრეფის სასწრაფოდ დამთავრება, საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ამ თავითვე გაშლა, და ღარიბ, საშუალო გლეხთა ახალი მასების ჩაბმა კოლმეურნეობებში.

სოფლის პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებით პოლიტგანყოფილებები სათავეში უნდა ჩაუდგენ მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილებას კოლმეურნეობებში. ეს იქნება მე-17 პარტყრილობისათვის შესახვედრად ბოლშევიკურად მომზადების ერთ ერთი მაჩვენებლები.

ამხ. ბერია ერევანში

ერევანი, 17 დეკემბერი. 16 დეკემბერს ერევანში ჩამოვიდა საკ. კ.პ. (ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ბერია. დილით ამხ. ბერია ამხ. ხანჯიანთან, გალოიანთან და ერზინკიანთან ერთად ეწვია კანაკირჰესს და გაეცნო ჰიდროსადგურის მშენებლობის მიმდინარეობას. დღისით შესდგა სომხეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ც. საკ. კომისიის პრეზიდიუმის და ერევნის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გაერთიანებული სხდომა რაიკომის მდივნების და სამანქანო სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსების მონაწილეობით. სხდომაზე გამოვიდა ამხ. ბერია, რომელიც შეჩერდა პარტორგანიზაციების მიმდინარე ამოცანებზე, გაამახვილა ყურადღება სოფლის პარტორგანიზაციების განმტკიცების, ბოლშევიკურ დისციპლინის და პარტიის რიგებში პრინციპულობის ამაღლების საკითხებზე.

სხდომის მონაწილენი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. ბერიას შეხვდენ მქუხარე ოვაციებით და თავიანთ გამოსვლებში აღუთქვეს უყოყმანოდ შეასრულონ ამხ. ბერიას მითითებანი. (ადს).

ვექილი ზაკი იცავს ფაშისტურ სასამართლოს და პროკურატურას

ლეიპციგი, 16 დეკემბერი. ლეიპციგის პროცესის დღევანდელი სხდომა გაიხსნა ვექილ ზაკის სიტყვით. ზაკი დაახლოებით ორი საათის განმავლობაში თავს ესხმოდა ლონდონის კონტრპროცესს და ეკამათებოდა „მიხაკისფერ წიგნს" და უცხოეთის ემიგრანტულ პრესას. ზაკი ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს „გერმანიის სასამართლოს დამოუკიდებლობა".

შემდეგ ზაკმა თავის მოვალეობად მიიჩნია გამოსულიყო პროკურატურის დასაცავად უცხოეთის პრესის საყვედურებისაგან. ზაკს მოყავს ადგილები ერთ-ერთი საზღვარგარეთულ ბროშურიდან, სადაც აღნიშნულია: „მიხაკისფერი წიგნი" რომ არ გამოსულიყო და მუშათა დემონსტრაციებს რომ არ ჰქონოდა ადგილი, ლეიპციგის პროცესი სხვა მიმართულებას მიიღებდაო. ამ დროს დიმიტროვი აკეთებს რაღაც შენიშვნას. ზაკი ცდილობს ეს შენიშვნა ისე განმარტოს, რომ, ვითომ, დიმიტროვი მას, აშკარად ეთანხმებოდეს". მაგრამ დიმიტროვი ამას აბათილებს.

ზაკი კითხულობს შემდეგი შინაარსის დეპეშას, რომელიც მას მიუღია პარიზიდან ლეიპციგის პროცესის ოთხი რევოლიუციონერი ბრალდებულის დამცველი კომიტეტისაგან:

„ტორგლერის მიმართ უზენაესი პროკურორის მოთხოვნა ამტკიცებს, რომ თქვენ ყოველგვარ პოლიტიკურ დაცვაზე უარის თქმით უღალატეთ თქვენს მარწმუნებელს პროკურატურის და მთავრობის სასარგებლოდ. ჩვენ უკანასკნელად მივმართავთ თქვენს პროფესიულ პატიოსნებას და მოველით თქვენგან, რომ, ბოლოს და ბოლოს, შეუდგებით ნამდვილ დაცვას".

ზაკი აცხადებს: ცუდ ვექილად ჩავთვლიდი თავს, თუ ამ მოთხოვნას არ შევასრულებდიო. შემდეგ ზაკი აღნიშნავს, რომ ის დაიცავს ტორგლერს, როგორც ადამიანს. თავ გვერდს აუვლის მის პოლიტიკურ შეხედულებებს.

როცა ზაკი, ორი საათის განმავლობაში ნაციონალ-სოციალისტების „სერიოზული" სამართლების ქების შემდეგ, საბრალმდებლო აქტის კონკრეტულ შინაარსზე გადადის, დიმიტროვი ირონიულად შენიშნავს: „მადლობა ღმერთს". თავმჯდომარე დიმიტროვს უკანასკნელ გაფრთხილებას აძლევს.

ზაკი იძულებულია მიუთითოს სასამართლო ხელისუფალთა მიერ სასამართლო კვლევა-ძიების, პირისპირ წაყენების და მოწმეთა დაკითხვის დროს დაშვებულ „შეცდომათა" სერიაზე. მთელი რიგი მოწმეები ამტკიცებდენ, რომ დიმიტროვი ცეცხლწაკიდების დღეს რეიხსტაგში იყო. სხვები ამბობდენ, რომ ის ჭუჩაში ნახეს. ზოგი კიდევ—რომ ის სადღაც სხვაგან იყო ამავე დროს გარკვევით დამტკიცებულია, რომ დიმიტროვი ხანძრის დროს მიუნხენში იმყოფებოდა. აგრეთვე გამორკვეულია, რომ დიმიტროვი არ არის ის დიმიტროვი, რომელიც, ვითომ, მონაწილეობდა სოფიის ტაძრის აფეთქების ცდაში. ამგვარად, ცხადია, რომ თითონ სასამართლო გამომძიებელი ფაშისტების მსხვერპლი შეიქნა. ზაკი სასამართლო ხელისუფალთა ამ „შეცდომას" იმით ამართლებს, რომ „პოლიტიკური წინასწარ კვლევაძიება არასაკმაო სისრულით იქნა ჩატარებული".

გადადის რა ტორგლერისათვის წაყენებულ ბრალდების გარჩევაზე, ზაკი აღნიშნავს, რომ, მაშინ როცა ტორგლერს „ყოველგვარ წვრილმანს დანაშაულად უთვლიდენ", მოწმე გროტეს „ამ პარაზიტს და პროფესიულ მატყუარას" უფლება მიანიჭეს სულ ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენებები მიეცა. თავმჯდომარე აწყვეტინებს ზაკს და ეუბნება: „ვფიქრობ, რომ ამით თქვენ ჩივით ჩემ მიერ პროცესის გაძღოლის გამო". ზაკი ამშვიდებს თავმჯდომარეს და აცხადებს, რომ ის არაფერს არ ჩივის, არამედ მხოლოდ აღნიშნავს ამ პროცესის თავისებურებას. პროკურორი იძულებული იყო აღიარებია,—აცხადებს ზაკი, რომ არ არის გამორკვეული თუ რა ფორმით ღებულობდა ტორგლერი მონაწილეობას რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებაში და, რამდენადაც, ბრალმდებელი მხარის დასკვნები უსუსურია. ჩაფლავდა აგრეთვე კარვანეს და ფრის ჩვენებები, თითქოს მათ 27 თებერვალს ენახოთ ტორგლერი „ვან-დერ-ლუბესთან ერთად საღამოს ოთხი საათის შემდეგ". რადგან ამ მოწმეთა ჩვენებანი ძირითადი და მთავარი დამამტკიცებელი საბუთია, რომელზედაც პროკურორი თავის ბრალდებას ამყარებს, ზაკის სიტყვით, საჭიროა აღინიშნოს ბრალდების უსაფუძვლობა ამ მთავარ პუნქტშიც. ზაკი იძლევა კითხვას—როგორ შეეძლებოდა მომხდარიყო, რომ ვან-დერ-ლუბეს რამოდენიმე საათს შეუმჩნევლად დაეყო რეიხსტაგის შენობაში, როდესაც მას საეჭვო გარეგნობა ჰქონდა, გაუპარსავი იყო და თავისებური ტანისამოსი ეცვა. მოწმე ფრიიმ გარკვევით ვერ თქვა, რომ მას ტორგლერი ვან-დერ-ლუბესთან ერთად ენახოს. შემდეგ არ არის დამტკიცებული აგრეთვე პოპოვის შეხვედრა ტორგლერთან.

ზაკი შემდეგ აღნიშნავს: შეუწყნარებელია პროკურორის ცდა დაისაჯოს შემთხვევით აქ მყოფი ბრალდებული ტორგლერი მხოლოდ იმიტომ, რომ სასამართლომ ვერ შესძლო გამოეშკარავებია ვან-დერ-ლუბეს გარდა, ცეცხლწაკიდებაში სხვა ბოროტმოქმედთა თანამონაწილეობა. ზაკი მიდის საბოლოო დასკვნამდი, რომ ტორგლერს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებაში. და წინადადებას იძლევა, მისი დანაშაულობის დაუმტკიცებლობის გამო, ის გამართლებულ იქნას (ადს).

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები

ლეიპციგი, 17 დეკემბერი. 16 დეკემბერს, სასამართლოს სხდომის დასასრულს, ვექილების და ბრალმდებელი მხარის წარმომადგენელთა მიერ ერთმანეთისადმი რეპლიკებით მიმართვის შემდეგ, ბრალდებულებმა წარმოსთქვეს უკანასკნელი სიტყვები. ვან-დერ-ლუბემ უარი განაცხადა უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმაზე. ტორგლერმა განაცხადა, რომ ამჯობინებს ილაპარაკოს ბულგარელების შემდეგ. დიმიტროვმა ორსაათიან სიტყვაში აღნიშნა, რომ კომპარტიას ცეცხლწაკიდებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, რომ ცეცხლწაკიდებაში ნამდვილი დამნაშავენი აღმოჩენილი არ არიან. დიმიტროვი მოითხოვდა ბრალდებული კომუნისტების აუცილებლად გამართლებას. თავმჯდომარემ დიმიტროვს არაერთხელ შეაწყვეტინა სიტყვა, სანამ, ბოლოსდაბოლოს, სასამართლო სათათბიროდ არ გავიდა, რის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დიმიტროვის სიტყვა დამთავრებულად ითვლება. პოპოვმა და ტანევმა განაცხადეს, რომ ბულგარელ კომუნისტებს არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ რაიმე დამოკიდებულება რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებასთან, ვინაიდან ისინი პუტჩისტები და ავანტურისტები არ არიან. ტორგლერმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა და პოლიტიკური ვითარების შეფასებით ცხადჰყო, რომ მას ცეცხლწაკიდებაში მონაწილეობა არ მიუღია, აგრეთვე ის, რომ კომპარტიას არა აქვს და არც შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე დამოკიდებულება ცეცხლწაკიდებასთან, ვინაიდან სავსებით ცხადია, რომ ასეთი ბოროტმოქმედება მხოლოდ საბაბი იქნებოდა კომპარტიის ასაკრძალავად. ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები დამთავრდა. განაჩენი გამოცხადებული იქნება 23 დეკემბერს, დილის 9 საათზე (ადს).

პარიზი, 17 დეკემბერი. იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ ლეიპციგის სასამართლოს განაჩენი, შესაძლოა, 18 დეკემბერს იქნება გამოტანილი, საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიამ გადაწყვიტა დააჩქაროს თავისი სესიის მოწვევა და მოუსმინოს იმ მოწმეებს, რომელნიც ლეიპციგში არ დაუშვეს და რომელთაც შეუძლიათ გააბათილონ პროკურორ ვერნერის განცხადება ტორგლერის ალიბის შესახებ. კომისია მოისმენს აგრეთვე მიუნხენის საპყრობილედან ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლებულ უცხოელი ჟურნალისტების ჩვენებას, რომელნიც იქ ხვდებოდენ დაპატიმრებულთა—მოიერიშეთა რაზმების ყოფილ უფროსებს. კერძოდ ნაციონალისტების ბელადის ობერფორენის მკვლელს: უკანასკნელს დაუსახელებია რამოდენიმე მოწმე, რომელთაც შეუძლიათ დაადასტურონ მკვლელობის ფაქტი (ადს).

გამოვგლიჯოთ ამხ. ტორგლერი და ბულგარელი კომუნისტები ფაშისტი ჯალათების ხელიდან

ინგლისი

ლონდონი, 16 დეკემბერი. ბრიტანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოუწოდებს ბრიტანეთის მუშებს იხსნან ტორგლერი ნაციონალ - სოციალისტ ჯალათებისაგან, იხსნან დიმიტროვი, პოპოვი და ტანევი, რომელთაც მოელით საფრთხე ნაციონალ-სოციალისტების მხრივ.

„დრო არ ითმენს,—წერს „დეილი უორკერი", პროცესი მთავრდება და მდგომარეობა ყოველ წუთს უფრო და უფრო კრიტიკული ხდება. აუცილებელია მთელი ძალების ამოქმედება აქტიური პროტესტის გასაძლიერებლად" (ადს).

საფრანგეთი

პარიზი, 16 დეკემბერი. საფრანგეთის კომპარტიის სამდივნო მოუწოდებს ყველა ორგანიზაციას და აგრეთვე პარტიის წევრებს გააძლიერონ კამპანია პასუხისგებაში მიცემული კომუნისტების განთავისუფლებისათვის (ადს).

ჩეხო-სლოვაკია

პრაგა, 16 დეკემბერი. ჩეხია-სლოვაკიის პარლამენტის კომფრაქციამ ლეიპციგის სასამართლოს გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა.

საერთაშორისო საგამომძიებლო კომისია ტორგლერის დამცველი ზაკისადმი გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვს დაუყოვნებლივ მოუსმინონ იმ მოწმეებს, რომელთა გამოწვევას კომისია არაერთხელ დაჟინებით მოითხოვდა. „ეს აუცილებელია,—ნათქვამია დეპეშაში — რათა დამტკიცებულ იქნას, რომ ვან-დერ-ლუბე იყო კომპარტიის მოწინააღმდეგე, და არ შეეძლო თუნდაც მარტო ამ ფაქტის გამო ჰქონოდა რაიმე კავშირი ტორგლერთან. თქვენი შეხვედრის დროს ჩვენი კომისიის წევრებთან და აგრეთვე პრესის წარმომადგენლებთან განცხადებაში თქვენ არა თუ ლაპარაკობდით ტორგლერის უდანაშაულობის შესახებ, არამედ კიდეც ირწმუნებოდით, რომ მას გაამართლებდენ. ამის გამო თქვენ არ მიგაჩნდათ საჭიროდ მიგეღოთ ჩვენი რჩევა. ამჟამად, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებლებმა უკვე დაიკავეს გარკვეული პოზიცია, ჩვენ მოგიწოდებთ მიაღწიოთ იმ მოწმეთა დაკითხვის განახლებას, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ. იმის გამო, რომ ტორგლერის უდანაშაულობაში ერთსულოვნად დარწმუნებულია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, აგრეთვე თქვენი წინანდელი განცხადებების გამო, თქვენი პასუხისმგებლობა უდიდესია":

ჩეხია-სლოვაკიის უდიდესი მეტალურგიული ქარხნების ქარხკომებმა პროტესტი გაუგზავნეს გერმანიის საელჩოს, რომელშიაც უერთდებიან კლადნენსკის მაღაროელთა აქტივის სხდომას.

პრაგის მუნიციპალიტეტის კომფრაქციამ მუნიციპალიტეტში შეიტანა წინადადება განეცხადონ პროტესტი გერმანიის საელჩოს. სოციალ-ფაშისტების ხმებით წინადადება უარყვეს. გაზეთი „პრაგერ მიტაგი" აღნიშნავს, რომ გერმანიის უზენაესი პროკურორი ვერნერი ამ თანამდებობაზე თავის დროზე წამოყენებული იქნა იუსტიციის მინისტრის სოციალ-დემოკრატ რადბრუხის მიერ (ადს).

ავსტრია

ვენა, 16 დეკემბერი. გაზეთი „ზექს ურ ბლატტი" ლეიპციგის პროცესისადმი მიძღვნილ წერილში წერს:

„უდავო ფაქტად რჩება, რომ გერმანიის იუსტიციის ორგანო გამოყენებული იქნა გერმანიის სახელმწიფო პოლიტიკის უმძიმესი დანაშაულის დასაფარავად. ტორგლერის უდანაშაულობა სავსებით დადასტურებულია. მიუხედავად ამისა, ჯალათების პოლიტიკა მოითხოვს მის სიცოცხლის მოსპობას" (ადს).

შვეიცარია

პარიზი, 16 დეკემბერი. შვეიცარიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ პროკურატურამ ტორგლერი წარმოადგინა როგორც მთავარი დამნაშავე, რათა იხსნას ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ინსცენირება (ადს).

—:—

საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით

ბერლინი, 16 დეკემბერი. უკეთებს რა კომენტარიებს პროკურორის სიტყვას, „ანგრიფი" არაპირდაპირ აღიარებს, რომ პროკურორის მიერ უარისთქმა ბულგარელი კომუნისტების დასჯაზე — არის მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების შედეგი. მიუთითებს რა, რომ გამოდის „მიხაკისფერი წიგნის" მეორე ტომი, რომლის დანიშნულებაც თითქოს გერმანიის წინააღმდეგ შემდგომი გალაშქრების მიზნით პროცესის გამოყენებაა, „ანგრიფი" ხაზს უსვამს, რომ ბულგარელების ბრალდებაზე პროკურორის მიერ უარის თქმა „ანტიგერმანული გალაშქრების ორგანიზატორებს ხელიდან გამოაცლის ამ მასალებს" (ადს).

„ყველაფერი—ტორგლერის დასაცავად"

პარიზი, 16 დეკემბერი. რომენ როლანმა გამოუშვა მოწოდება სათაურით: „ყველა — ტორგლერის დასაცავად". მოწოდებაში ნათქვამია:

„პროკურატურამ უკან დაიხია დიმიტროვისა და ტანევის წინააღმდეგ მის მიერ წაყენებულ ბრალდებათა უაზრობის წინაშე, რაც ნათელი გახდა მთელი მსოფლიოსათვის მოწმეთა ჩვენების ხუყალბის და ბრალდებულთა ალიბის სიცხადის გამო. პროკურორის პირით ბრალმდებელი მხარე იძულებული იყო გამოეცხადებია ბრალდებულები უდანაშაულოდ, მაგრამ იმედგაცრუებული ბრალმდებელი მხარე გაბოროტებით თავს ესხმის ჰერინგს, ხოლო პროკურორი, გრძნობს რა მოახლოვებულ მუქარას, ცდილობს გამოასწოროს საქმე იმით, რომ გადასცეს ტორგლერი ჯალათებს. ერნსტ ტორგლერი — ყველაზე უფრო წმინდაა ყველა პოლიტიკურ მოღვაწეებისაგან, ადამიანი, რომლის მთელი სიცოცხლე — მთლიანი თავგანწირვაა, ადამიანი, რომელიც ძლიერია მარტო თავისი უდანაშაულობით, არ შემდრკალა, მიუხედავად იმ უაზრო სიძულვილისა, რომელიც შექმნეს პროვოკატორებმა მის წინააღმდეგ რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების შემდეგ პირველ საათებში, არ [illegible]ა ჩაეგდოს თავისი თავი დასაგლეჯად შურისმაძიებელ ხელებში, რათა დაიცვას თავისი პარტიის ღირსება. ისინი მოითხოვენ იმ კაცის სიცოცხლეს, რომელმაც სამ თვეს დაჰყო საპყრობილეში და რომელსაც 5 თვის განმავლობაში ბორკილები ჰქონდა. გაყრილი. თუმცა იციან, რომ იგი უდანაშაულოა. არავინ მისცემს უფლებას ამ ხალხს ჩასცეს მახვილი ტორგლერს, არავინ მისცემს მათ უფლებას ტორგლერის სახით ჩასცენ მახვილი პარტიას. თუ თქვენ გაბედავთ ამ დანაშაულის ჩადენას, მაშინ თქვენ პროლეტარიატის დიად პარტიას მისცემთ გასისხლიანებულ დროშას, რომლითაც წავა იგი გამარჯვებისაკენ" (ადს).

ამხ. დიმიტროვის გმირული სიტყვა

(ტელეგრაფის მიერ დამახინჯების გამო ვაძლევთ შემოკლებით)

ლეიპციგი, 17 დეკემბერი. „...მე ვაცხადებ, რომ მარტივად და მკაცრად ვლაპარაკობ. მე ვიცავ პოლიტიკურ და რევოლუციურ პატიოსნებას, ჩემს კომუნისტურ მსოფლმხედველობას ჩემი სიცოცხლის შინაარსს. ამიტომ ჩემი ყოველი წინადადება, ყოველი სიტყვა,—ეს არის უსამართლო ბრალდების წინააღმდეგ ულრმესი აღშფოთების გამოხატულება. ჩემთვის, როგორც კომუნისტისათვის საუკეთესო კანონია კომინტერნის პროგრამა, უმაღლესი სასამართლოა კომინტერნის საკონტროლო კომისია, მიუხედავად ამისა, მე აქ, როგორც ბრალდებული, გასამართლებას მთელი სერიოზულობით ვეკიდები. პროცესის პირველ დღიდანვე მის უკანასკნელ დღემდე მე არც ერთი სიმართლეს მოკლებული სიტყვა არ მითქვამს. მე მაყვედრიან, რომ ჩემი კითხვებით პროპაგანდის მიზნებს ვისახავ. ეს ასე არ არის. რათქმა უნდა, ჩემს გამოსვლებს ერთგვარი პროპაგანდისტული გავლენა ჰქონდათ, მაგრამ ჩემი ძირითადი მიზანი ის იყო, რომ გამებათილებია ბრალდება იმის შესახებ, თითქოს მე, ტორგლერს, პოპოვს და ტანევს ხანძართან რაიმე დამოკიდებულება გვქონდეს. ვიცი, რომ საზღვარგარეთ ამას არვინ დაიჯერებს მაგრამ გერმანიაში ეს შეიძლება დაიჯერონ, ამიტომ მე მინდოდა დამემტკიცებია, რომ კომპარტია ამ ბოროტმოქმედებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა და ვერ მიიღებდა. თუ ვილაპარაკებთ პროპაგანდაზე, გებელსის და გერინგის გამოსვლებს აქ ასეთი ხასიათი ჰქონდათ.

დიმიტროვი განაგრძობს: „აქ ამტკიცებდენ, რომ რეიხსტაგისთვის ცეცხლწაკიდება შეიარაღებული აჯანყების სიგნალი უნდა გამხდარიყო. კომპარტია წლობით მოუწოდებს ბრძოლისაკენ. ხელისუფლების სათავეში ნაციონალ -სოციალისტების ჩადგომის დროს გამოთქვამდენ მოსაზრებას: კომპარტიას არავითარი სხვა გამოსავალი არ დარჩენია თუ არა ის რომ გამოვიდეს ან ახლა ან არასოდეს. ეს თეზისი, რომელსაც კომპარტიას მიაწერენ, არ არის კომუნისტური თეზისი. ასეთი აზრი ამტკიცებს, რომ გერმანიის კომპარტიის მტრები მას ცუდად იცნობდენ. 1933 წლის თებერვალს კომპარტიას აკრძალვა ემუქრებოდა. გერმანიის კომპარ. ამას მოელოდა. ამაზე ლაპარაკობდა ფურცლებსა და გაზეთებში. გერმანიის კომპარტიამ კარგად იცოდა რომ ბევრ ქვეყანაში კომპარტიები აკრძალული არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი განაგრძობენ თავის მუშაობას და ბრძოლას. გერმანიის კომპარტიამ ზუსტად იცოდა, რომ არალეგალური მუშაობა ესოდენ მძიმე იქნებოდა, თავგანწირვას და გაბედულებას მოითხოვდა, მაგრამ მან იცოდა აგრეთვე, რომ იგი შესძლებდა განეხორციელებია მის წინაშე მდგარი ამოცანები, ამიტომ ყოვლად წარმოუდგენელია, თითქოს, გერმანიის კომპარტიას ამ პერიოდში ნდომებოდეს თავისი თავის წარმოება, ამას უნდა დავძინოთ, რომ გერმანიის კომპარტია და სხვა კომპარტიები კომინტერნის სექციებს წარმოადგენენ. მე ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო ადგილი კომინტერნის წესდებიდან. დიმიტროვი კითხულობს წესდების პირველ პარაგრაფს:

„კომუნისტური ინტერნაციონალი —მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა—წარმოადგენს ცალკე ქვეყნების კომუნისტური პარტიების გაერთიანებას, მსოფლიო კომუნისტურ პარტიას.

არის რა მსოფლიო რევოლუციური პროლეტარიატის ბელადი და ორგანიზატორი, კომუნიზმის პრინციპების და მიზნების გამომხატველი, კომუნისტური ინტერნაციონალი იბრძვის მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის ფართო ფენების უმრავლესობის მისამხრობად პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის დამყარებისათვის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო კავშირის შექმნისათვის, კლასების სრული მოსპობისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის"...

კომინტერნის ამ მილიონიან მსოფლიო პარტიაში საბჭოთა კავშირის კომპარტია ეძლიერესი პარტიაა. იგი არ იმყოფება ოპოზიციური პარტიის მდგომარეობაში, იგი არის ყველაზე დიდი სახელმწიფო კომპლექსის მმართველი პარტია. კომინტერნი, მსოფლიო კომუნისტური პარტია, პოლიტიკურ სიტუაციას არკვევს ყველა ქვეყნის კომპარტიების ხელმძღვანელობასთან ერთად. კომუნისტური ინტერნაციონალი არ არის შეთქმულთა ორგანიზაცია. ასეთი მსოფლიო პარტია აჯანყებით და რევოლუციით არ თამაშობს. ასეთი პარტიისათვის, ძვირფასო დოქტორ ზაკ (დარბაზში სიცილია). უცხოა ორმაგი ბუღალტერია". ზაკი მიმართავს რეპლიკით: „განაგძეთ მშვიდად თქვენი პროპაგანდა". დიმიტროვი განაგრძობს: „ასეთი პარტია ორმაგ ბუხჰალტერიას არ მიმართავს".

შემდეგ დიმიტროვს მოჰყავს ციტატები კომინტერნის აღმასკომის მე-12 პლენუმის დადგენილებიდან და კომინტერნის აღმასკომის 3 მარტის მოწოდებიდან. „ამ მოწოდებაში, — ამბობს იგი, არ არის დადგენილება ხელისუფლებისათვის უშუალო ბრძოლის შესახებ. ეს ამოცანა არ დაუსახავს არც გერმანიის კომპარტიას, არც კომუნისტურ ინტერნაციონალს. გერმანიის კომპარტია რომ პროლეტარული რევოლუციის მომხრეა, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ საკითხი ის არის, 27 თებერვლისათვის მართლა იყო თუ არა დანიშნული აჯანყება ხელისუფლების დასაპყრობად. რა მოგვცა სასამართლო კვლევა-ძიებამ, ბატონო მოსამართლენო? მე არ მოვიყვან აქ ციტატებს მოწმეთა ყველა ჩვენებიდან, როგორც ამას სხვა დამცველები ჩადიოდენ. რეიხსტაგის ხანძარი—მე არ ვლაპარაკობ ბოროტმოქმედებასა და ფსიქოპატებზე—არავის არ გაუგია როგორც აჯანყების სიგნალი. უდავოდ დამტკიცებულია, რომ მთავრობის პასუხისმგებელ წარმომადგენლებს 27—28 თებერვალს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ მოსალოდნელია კომუნისტური აჯანყება. ამის შესახებ მე მრავალი შეკითხვა მივეცი მოწმეებს, კერძოდ გელერს, სახელოვან კარვანეს (დარბაზში სიცილი გაისმის), პოლიციელებს. ყველამ მიპასუხა, არაფერი გვსმენია იმის შესახებ, რომ კომუნისტური აჯანყება მზადდებოდა. გუშინ ვექილმა გამოიყვანა დასკვნა, რომ მმართველ წრეებში ამ დროს არავინ არ მოელოდა აჯანყებას, რისთვისაც მიუთითა გერინგზე და გებელსზე და აღნიშნა, რომ მათ არ დაუჯერეს ცნობას რეიხსტაგის ხანძრის შესახებ. ამ მხრივაც დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს გერმანიის მთავრობის იგივე საგანგებო დეკრეტი. დეკრეტი გამოქვეყნებული იყო არა კომუნისტურ აჯანყებასთან საბრძოლველად, ეს დეკრეტი გამოქვეყნებული იყო მუშათა კლასის ორგანიზაციებისა და ოპოზიციური ჯგუფების ორგანიზაციების მოსასპობად"... თავმჯდომარე აწყვეტინებს დიმიტროვს და აცხადებს: „არა მუშათა კლასის, არამედ კომპარტიის". დიმიტროვი: „მე უნდა ვთქვა, რომ ამ დეკრეტის საფუძველზე დაპატიმრებული იქნენ არა მარტო კომუნისტები, არამედ სოციალ-დემოკრატი მუშებიც, და შლიდენ მათ ორგანიზაციებს. ეს კანონი საჭირო იყო განსაკუთრებული წესების შემოსაღებად"... თავმჯდომარე აწყვეტინებს დიმიტროვს და ამბობს: „თუ თქვენ დაიწყებთ გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებას, სიტყვას წაგართმევთ". დიმიტროვი: „ამ პროცესში დარჩა ერთი საკითხი, რომელიც არ გამოურკვევია არც პროკურატურას, არც დამცველებს. ეს საკითხია—როგორი იყო კონკრეტული სიტუაცია გერმანიაში 1933 წლის თებერვალში. თებერვლის დამლევს ეს სიტუაცია ისეთი იყო, რომ ნაციონალური ფრონტის ბანაკს შორის წარმოებდა ბრძოლა. ეს შინაგანი ბრძოლა ნაციონალური ბანაკში მიმდინარეობდა გერმანიის ეკონომიური წრეებში წარმოებულ ფარულ ბრძოლასთან დაკავშირებით. ერთი მხრით იყვნენ წრები ტისენისა, კრუპისა, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში აფინანსებდენ ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას და, მეორე მხრით, მათი კონკურენტები, რომლებიც უკანა რიგში იყვნენ დაყენებული. ტისენსა და კრუპს სურდათ დაემყარებინათ სახელმწიფოში ერთსულოვნობის და აბსოლუტური ბატონობის პრინციპი თავისი ფაქტიური ხელმძღვანელობით. კომუნისტური პარტია ამ პერიოდში მისწრაფოდა შეექმნა ერთიანი ფრონტი, რომ შეეკავებინა ძალები ნაციონალ-სოციალისტების მიერ მუშათა მოძრაობის მოსასპობად წარმოებული ცდების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი მუშები გრძნობდენ მუშათა ერთიანი ფრონტის აუცილებლობას. მაგრამ თებერვალსა და მარტში ერთიანი ფრონტის შექმნის ამოცანა არ მოასწავებდა აჯანყებას, არამედ მთელი მზადება ნიშნავდა მუშათა კლასის მობილიზაციას ნაციონალ-სოციალისტების სასტიკი ერთუფლებიანობის პრინციპის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე აწყვეტინებს დიმიტროვს და აღნიშნავს: „თქვენ ყოველთვის ხაზს უსვამდით, რომ გაინტერესებთ მხოლოდ კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობა სახელმწიფოში, მაგრამ თქვენი ახლანდელი გამოსვლა ამტკიცებს, რომ თქვენ ძალიან დიდ ინტერესს იჩენდით გერმანიის პოლიტიკური საკითხებისადმი". დიმიტროვი. მე, როგორც ბულგარელი რევოლუციონერი, დაინტერესებული ვარ რევოლუციური მოძრაობით ყველა ქვეყანაში, მე მაინტერესებს ამერიკის საკითხები და მათ უკეთ ვიცნობ, ვიდრე გერმანიის საკითხებს. მე მაინტერესებს პოლიტიკური საკითხები, მაგრამ არ ვერევი გერმანიის პოლიტიკურ საქმეებში. პროცესზე მე ბევრი რამ ვისწავლე. ჩემი პოლიტიკური ალღოს მეოხებით მრავალ დეტალს ჩავწვდი (დარბაზში მოძრაობაა და სიცილი).

მაშინდელი პერიოდის პოლიტიკურ სიტუაციაში იყო ორი ძირითადი მომენტი: პირველი—ნაციონალ - სოციალისტების მისწრაფება ერთსულოვნებისაკენ, მეორე —ამის წინააღმდეგ—კომპარტიის მოღვაწეობა, მიმართული მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ. ნაციონალ სოციალისტებს ესაჭიროებოდათ დივერსიული მანევრი, რომ მოსახლეობის ყურადღება შინაგანი პოლიტიკური ბანაკის სიძნელეებისაგან ჩამოეშორებიათ და მუშათა ერთიანი ფრონტი გაერღვიათ". „ნაციონალურ მთავრობას" მრავალი საფუძველი ჰქონდა იმისათვის, რომ გამოეცა თავისი 28 თებერვლის საგანგებო დეკრეტი; რომელმაც გააუქმა პრესის თავისუფლება, პიროვნების თავისუფლება და დაამყარა პოლიტიკური რეპრესიები, საკონცენტრაციო ბანაკების და კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ღონისძიებათა სისტემა... „თავმჯდომარე აწყვეტინებს დიმიტროვს:" თქვენ მიხედვით უკადრისობამდე, თქვენ გადაკრულ სიტყვებს ხმარობთ.. უნდა გადახვიდეთ თავის დაცვაზე, თორემ დრო არ გეყოფათ". დიმიტროვი: „ექსპერტიზის და სასამართლო კვლევაძიების მასალების საფუძველზე იმ დასკვნას ვადგები, რომ ცეცხლის წაკიდება რეიხსტაგის პლენარულ სხდომათა დარბაზში სხვა ხასიათისა იყო, ვიდრე ცეცხლწაკიდება რესტორანში, ქვედა სართულში და სხვა. ვან-დერ-ლუბე მარტო არ ყოფილა, მაგრამ მასთან იყვნენ არა ტორგლერი, არა პოპოვი, არა ტანევი და არა დიმიტროვი. 28 თებერვალს ვან-დერ-ლუბე უეჭველად შეხვდა გენინგსდორფში ერთ კაცს და მოუყვა, თუ როგორ სცადა ცეცხლი წაეკიდებია რატუშისა და სასახლისათვის. ამ კაცმა მას უთხრა, ყველა ეს ცეცხლწაკიდება მხოლოდ ბავშური თამაშია, ნამდვილი საქმე კი რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდება იქნებოდა. ვან-დერ-ლუბეს შეიძლება არ ცოდნოდა, რომ მაშინ, როცა ის დერეფანში და ქვედა სართულში ცეცხლწაკიდების უხეირო ცდებს ახდენდა, ამ დროს ამ უცნობმა პირმა გამოიყენა საწვავი სითხე და პლენარული სხდომათა დარბაზისათვის ცეცხლწაკიდება მოამზადა". დიმიტროვის მიერ ამ მოსაზრებათა გამოთქმის დროს ვან-დერ-ლუბე ჩუმად იცინის. ეს მთელი დარბაზის ყურადღებას იპყრობს. დიმიტროვი ხმას იმაღლებს და ამბობს: „აი, აქ ზის ბრიყვი იარაღი, სულით ღატაკი ფავნი, ვინ არის ვან-დერ-ლუბე? ის დეკლასირებული მუშაა, ის მეამბოხე ლუმპენპროლეტარია. ის კომუნისტი არ არის. არც ერთი კომუნისტი მსოფლიოში, არც ერთი ანარქისტი მსოფლიოში არ მოიქცევა გასამართლებაზე ისე, როგორც ვან-დერ-ლუბე იქცევა. ვან-დერ-ლუბე არ არის კომუნისტი, არ არის ანარქისტი. ის იარაღია, რომელიც ბოროტად გამოიყენეს. ამ კაცთან არც კომფრაქციის თავმჯდომარეს, არც ბულგარელ კომუნისტებს არ შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეთ. მე აქ უნდა მოგაგონოთ, რომ 28 თებერვალს დილით გერინგმა გამოაქვეყნა ცნობა: ცეცხლწაკიდება კომუნისტების საქმეა. ამავე დროს კი საჭიროდ არ მიიჩნიეს ყურადღება მიექციათ ვან-დერ-ლუბეს სიტყვებისათვის გენინგსდორფის შესახებ. კაცი, რომელმაც გენინგსდორფის პოლიციურ თავშესაფარში ვან-დერ-ლუბესთან ღამე გაათია, არ არის აღმოჩენილი..." თავმჯდომარე აწყვეტინებს დიმიტროვს: „როდის აპირებთ თქვენი სიტყვა დაამთავროთ თქვენ არ შეგიძლია დაუსრულებლივ ილაპარაკოთ". დიმიტროვი: „გენინგსდორფის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია—ის, ვინც ღამე ვან-დერ-ლუბესთან გაათია, აღმოჩენილი არ არის. ჩემი წინადადება, რომ ის მოეძებნათ, უმიზნოდ მიიჩნიეს. ცეცხლწამკიდებლებს ეძებდენ არა იქ, სადაც ისინი იყვნენ. გადაწყვიტეს—რაკი ნამდვილი ცეცხლწამკიდებლები დაპატიმრებული არ არიან სხვები უნდა დავაპატიმროთო"...

თავმჯდომარე მკაცრად აწყვეტინებს დიმიტროვს: „მე გიკრძალავთ სიტყვას. გაძლევთ კიდევ 15 წუთს".

დიმიტროვი: „მე უფლება მაქვს შემოვიტანო წინადადებანი განაჩენის გამო. პროკურორს კომუნისტების არც ერთი ჩვენება ნდობის ღირსად არ მიაჩნია. მე ასეთ პოზიციაზე არ ვდგავარ. ვფიქრობ, რომ მილიონ ნაციონალ - სოციალისტს შორის ადამიანებიც მოიპოვებიან".

თავმჯდომარე მკაცრად აწყვეტინებს: „გიკრძალავთ ასეთ ბოროტ გამოსვლებს. კმარა. შემოიტანეთ თქვენი წინადადება".

დიმიტროვი: „უზენაესმა პროკურორმა განაცხადა: საკმაო დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო ბულგარელები განთავისუფლებული უნდა იქნანო. მე ამას არ ვეთანხმები. ეს არ აქარწყლებს ეჭვს ყველა ჩვენს წინააღმდეგ. არა, პროცესის დროს დამტკიცდა, რომ ჩვენ არაფერი საერთო არ გვაქვს რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებასთან და ამიტომ არ შეიძლება რაიმე ეჭვს ადგილი დაურჩეს, მე შემომაქვს შემდეგი წინადადება განაჩენის გამო: „ცნობილ იქნან უდანაშაულოდ, ხოლო ბრალდებები უმართებულოდ ჩაითვალოს. ეს ეხება ყველას—ტორგლერს, პოპოვს და ტანევს. ვან-დერ-ლუბე მიჩნეულ იქნას იარაღად, რომელიც გამოყენებულია მუშათა კლასის საზიანოდ. მოძებნილ იქნან რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებაში ნამდვილი დამნაშავენი და დასმულ იქნან ჩვენს ადგილზე, ამასთან ანაზღაურდეს ამ პროცესზე დაკარგული დროით მიყენებული ზარალი".

თავმჯდომარე მკაცრად აწყვეტინებს დიმიტროვს და მას სიტყვასართმევს. დიმიტროვის უკანასკნელ სიტყვებს თან სდევს სიცილი დარბაზში.

თავმჯდომარე თათბირის შემდეგ აცხადებს, რომ დიმიტროვის სიტყვა წაერთვა

XVII პარტყრილობის სახელობის
წითელი დაფა

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიკომის წარდგენით მე-17 პარტყრილობის სახელობის წითელ დაფაზე შეტანილია

ფეხსაცმელების № 2 ფაბრიკის სარანტო საამქრო

ამხ. ტირაკიანი.



ამხ. აზატიანი.

სარანტო საამქრო წამყვანია ფაბრიკაში. მან **წლიური გეგმა** შეასრულა 5 დეკემბრისათვის 100,3 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულებულია 101,2 პროც.

საამქროში 1933 წლის განმავლობაში არ ყოფილა წუნის გამოშვების არც ერთი შემთხვევა.

საამქროს საუკეთესო მუშებია: **გ. ნავასარდოვი, გ. ავეტისოვი, რ. არუთინოვი, ხ. ყაზაროვი, ე. გასპაროვი, ს. სუმბათაშვილი, გ. მაილოვი, მ. ოსიპოვი, მ. გოსტანჯიანი, ყარაკოზოვი, ბაკლანიანი.**

საამქროს უფროსია ამხ. **ტირაკიანი**, რგოლუჯრედის მდივანია ამხ. **აზატიანი**, პროფორგანიზატორია ამხ. **სუმბათაშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიკომის წარდგენით მე-17 პარტყრილობის სახელობის წითელ დაფაზე შეტანილია

ტფილისის ბამბის ფაბრიკა



ამხ. ა. მჭედლიძე.



ამხ. ფ. გერენგოფერი.

ფაბრიკამ **წლიური გეგმა** შეასრულა 13 დეკემბრისათვის 101,1 პროც.

შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულებულია 115,5 პროც.

თვითღირებულება შემცირებულია 6 პროც.

ამას გარდა, ფაბრიკის უტილსაამქრომ 13 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 27.625 მანეთის ფართო მოხმარების საქონელი.

ფაბრიკის დირექტორია ამხ. **ალ. მჭედლიძე**, უჯრედის მდივანია **ფ. გერენგოფერი**, ფაბკომის თავმჯდომარეა **ალ. გელენიძე.**

მზადება მე-17 პარტყრილობისათვის

მოწინავე პარტორგანიზაცია ეზის გამოცდილების საფუძველზე

ჩავატაროთ ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია

საჩუქრად მე-17 პარტყრილობას—2700 კილოგრამი ძაფი

(ოზურგეთი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მე-17 პარტყრილობასთან დაკავშირებით აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხ ფაბრიკების პარტბიუროკოლექტივმა ფართო მოსამზადებელი მუშაობა გააჩაღეს ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

მზადება მე-17 პარტყრილობის და ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩატარებისათვის ფაბრიკის პარტორგანიზაციამ მთლიანად დაუკავშირა დეკემბრისა და იანვრის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

საამქროში მუშათა ენტუზიაზმი კიდევ უფრო გაიზარდა. **„გამარჯვების პატაკით შევხვდეთ მე-17 პარტყრილობას, მოვიპოვოთ წითელ დაფაზე შეტანის უფლება"** — აი, საბრძოლო ლოზუნგი, რომლითაც აღფრთოვანებულია ფაბრიკის თვითეული მუშა.

ძაფსალებ-საგრეხ ფაბრიკის პარტორგანიზაციამ მზადება მე-17 ყრილობისათვის 30 ნოემბრიდან დაიწყო.

8 დეკემბერს ფაბრიკაში ჩატარდა ერთიანი პარტდღე, რომელზედაც განხილული იქნა საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის დადგენილებები ძირეული პარტორგანოების საგადარჩევო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შესახებ. პარტდღეს დაესწრო 597-მდე მუშა, ამათგან: კომუნისტი 280, კ.-კ. წევრი 247. კამათში მონაწილეობა მიიღო 31 ამხანაგმა. **თავის დროზე და გადაჭარბებით შევასრულოთ წლიური საწარმოო გეგმა, გავაუმჯობესოთ ძაფის ხარისხი, გეგმის გარეშე მივცეთ ქვეყანას 2.731 კილოგრამი ძაფი**,— ასეთია ამოცანა, რომლის განხორციელებისათვის ბოლშევიკური ბრძოლა გაჩაღდა ძირეულ რგოლებში, საამქროთა პარტუჯრედებში და ფაბრიკის პარტიულ და კ. კავშირის ორგანიზაციებში.

წლიური გეგმის საუკეთესო მაჩვენებლებით შესრულების და საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის სამზადისის უკეთ ჩატარების მიზნით **ოზურგეთის ფაბრიკების პარტორგანიზაციამ შეჯიბრებაში გამოიწვია სამტრედიის ძაფსალები ფაბრიკის პარტორგანიზაცია.**

საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის საკითხებზე ცალკე უჯრედებმა გააჩაღეს მუშაობა ძირეულ აქტივთან. 9 დეკემბერს ყველა საამქროში **მიღებულ იქნა დადგენილება სამი კვარტალის დანაკლისი 3.358 კლგრ. ძაფის დასართავად ორი მასობრივი შაბათობის ჩატარების შესახებ.** ჩამოყალიბდა ტექნიკის დაუფლების წრეები, სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი იქნა დამატებით ორი ბრიგადა. **ორმა ბრიგადამ თავი გამოაცხადა მე-17 პარტყრილობის სახელობის დამკვრელ ბრიგადად, ერთმაც ძველ ბოლშევიკთა სახელობის ბრიგადად.** დამკვრელი მუშების წინადადებით მობილიზებულია ფაბრიკის დაწინაურებული 33 ძველი მუშა. პარტორგებმა: **ანთაძემ, კ. ჩხაიძემ, ქ. მამულაიშვილმა, ნ. ქორჩილავამ, კ. ცინცაძემ, ლ. ხავთასმა, პ. ჯიჯიეშვილმა და ბრიგადირებმა: დ. სირაძემ, გ. კალანდაძემ, კ. დოლიძემ, ომ. სუნგულიამ, ქ. სარჯველაძემ და ნ. ჩოლობარგიამ იკისრეს** ვალდებულება, **რომ მე-17 ყრილობის საჩუქრად ამოიღონ გეგმის გადამეტებით 2700 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის ძაფი.**

ფაბრიკების პარტორგანიზაციას აქვს თვალსაჩინო მიღწევები პარტმასობრივი მუშაობის გარდაქმნის საქმეში. არის ისეთი პარტუჯრედები, რომლებმაც ბოლშევიკურად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და იძლევიან გეგმების შესრულების საუკეთესო ნიმუშს. ასეთია **1-ლი წყების № 2 პარტუჯრედი (უჯრ. მდივანი ქეთო ყარიგიშვილი). 1-ლი წყება ყოველთვიურად ადიდებს გეგმის შესრულების მაჩვენებლებს. სექტემბრის გეგმა მან შეასრულა 99,4 პრ., ოქტომბრის—101,8 პრ.. ნოემბრის—108,7 პროც., ხოლო დეკემბრის 15 დღის—146 პროცენტით.**

ბრძოლა კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის — ფაბრიკაში გადაიქცა „სახელისა და გმირობის საქმედ".

დეკემბრის ყოველდღიური გამომუშავება, ვალდებულებათა კისრების შემდეგ, გეგმით გათვალისწინებულ **158 კილოგრამიდან აღწევს —243 კილოგრამამდე.** ეს ციფრები იმის საუკეთესო დამამტკიცებელია, თუ **როგორი ენტუზიაზმით, როგორი გმირული ბრძოლით ეგებებიან ფაბრიკის მუშები მე-17 პარტყრილობას.** ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ფაბრიკის პარტორგანიზაციამ, რაიკომის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, თავის რიგებში გამოსჭედა და აღზარდა ისეთი თავდადებული კომუნისტები, როგორიც არიან: **შ. ინწკირველი, გ. კალანდაძე, ნ. ჩოლაბარგია, რ. ლომაძე, თ. ხუხუნაიშვილი, ა. ქუტიძე, ს. ჯიქია, ელ. მეავანაძე, შ დოლიძე, ან. დოლიძე, ქ. მამულაიშვილი, ნ. ანთიძე, ს. კალანდაძე, გ. დოლიძე, მ. დოლიძე, ნ. კვაშალი, ან. მოისწრაფიშვილი, ან. რამიშვილი და მ. თავაძე.** ესენი ყოველთვიურ დავალებებს ასრულებენ 102—115 პროცენტით.

საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიისათვის განვლილი მოსამზადებელი მუშაობა და დაწყებული ბრძოლა მე-17 ყრილობაზე გამარჯვების პატაკებით მისვლისათვის — ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკებს უსათუოდ მიანიჭებს წითელ დაფაზე შეტანის უფლებას.

ს. მასხულია

სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ სამტრედიის რაიონის პარტორგანიზაციას

(ბორჯომი)

პარტიის მე-17 ყრილობის შეხვედრის და ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის ბორჯომის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. 25 ნოემბერს რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ჩატარდა სახელდახელო მიტინგები პარტიის მე-17 ყრილობის მოწვევის შესახებ. 1-ლ დეკემბერს საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე პარტრაიკომის ბიურომ ძირეული პარტიული ორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის ადგილებზე (როგორც სოფლად, ისე ქალაქად მიამაგრა რაიონის 49 პასუხისმგებელი ამხანაგი. 3 დეკემბერს შესდგა პარტუჯრედის მდივნების სარაიონო თათბირი მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად რომელზედაც დამუშავდა საკითხი მათი ამოცანების შესახებ ძირეულ პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩატარებაში. 5—7 დეკემბერს რაიონის პარტორგანიზაციაში ჩატარდა ერთიანი პარტიული დღე, სადაც გამოიყო პარტუჯრედების მუშაობის თვითშემმოწმებელი 56 ბრიგადა 168 კაცით, რის შემდეგ მათ, მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად, გააცხოველეს მუშაობა და ძირეული პარტიული ორგანოების საანგ.-საგადარჩევო კამპანიის ჩატარებისათვის ურთიერთ შორის ფართოდ გაშალეს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. მაგ. ბორჯომის კურორტმშენთან არსებულმა პარტუჯრედებმა და ცალკე თვითშემმოწმებელმა ბრიგადებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს წყალტუბოს კურორტმშენის პარტიული ორგანიზაცია.

პარტიის მე-17 ყრილობის შეხვედრის და ძირეული ორგანოების საანგ.-საგ. კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში გაიზარდა შრომითი ენტუზიაზმი—მიმდინარე და 1934 წლის საწარმოო და პოლიტიკური ამოცანების გადაჭარბებით შესრულებისათვის. მაგ. ბორჯომის კურორტმშენის მუშებმა იკისრეს წლიური საამშენებლო საწარმოო დავალება შეასრულონ ვადაზე ადრე —25 დეკემბრამდე და ამავე მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს წყალტუბოს კურორტმშენის მუშები.

„სოიუზტრანსის" და „საქგზატრანსის" მუშებმა იკისრეს წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და გეგმით გადაჭარბებით შეკეთებიდან გამოუშვან ერთი ავტო-მანქანა. საკასრე ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ და უპარტიო მუშებმა იკისრეს მიმდინარე წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის მთლიანად ვადაზე ადრე შესრულება და გეგმის გადაჭარბებით 200 კომპლექტ საექსპორტო ტკეჩის გამოშვება. ასევე სახერხი ქარხნის მუშებმა დაადგინეს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 3000 კომპლექტ ტკეჩი. მილიციის პარტუჯრედმა ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია **გორის, სტალინისის, კასპის, ასპინძის, ახალციხის და ახალქალაქის მილიციის პარტუჯრედები.** მთლიანად ბორჯომის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მე-17 პარტყრილობის შეხვედრის და ძირეული პარტიული ორგ. საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის **სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სამტრედიის რაიონის პარტიული ორგანიზაცია და იკისრა შემდეგი ვალდებულებანი:**

25 დეკემბრამდე ბორჯომის რაიონში არსებულ სატყეო მეურნეობების მხრივ მთლიანად შესრულებული იქნეს ტყის დამზადების, გამოზიდვის და რეალიზაციის წლიური გეგმები.

საკასრე ქარხნის მიერ, რომელიც მუშაობს იმპორტზე, ვადაზე ადრე —28 დეკემბრამდე შესრულებული იქნება წლიური გეგმა დამატებით მიცემულ გეგმასთან ერთად. სარეწაო კოოპერაციის ხაზით ვადაზე ადრე—15 დეკემბრამდე შესრულებული იქნება წლიური სავაჭრო-საწარმოო გეგმები. საკურორტო მშენებლობის დარგში მომუშავე პარტიული მასების და მუშათა ყურადღების მაქსიმალურად მობილიზაციის ნიშნით 1-ლ დეკემბრამდე შევასრულებთ საწ.-საფ. გეგმებს. ფულადი სახსრების მობილიზაციის წლიურ გეგმას შევასრულებთ 10 დეკემბრამდე, ხოლო მე-4 კვარტალისას —20 დეკემბრამდე.

100 პროც. და 15 პროც. სათესლე ფონდების შეგროვებას ერთპიროვნულ მეურნეობებში დავამთავრებთ 20 დეკემბრამდე. უძროხო კოლმეურნეებისათვის ძროხების შეძენის მიზნით ხბოების დაკონტრაქტებას დავამთავრებთ 20 დეკემბრამდე. უზრუნველვყოფთ ყველა კოლმეურნეობებში ზამთრის პერიოდში შრომის ორგანიზაციის სწორად დაყენების გზით საქონლის უკეთ მოვლა-პატრონობას.

1934 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის წინასწარ გავშლით მოსამზადებელ მუშაობას. მაგალითად.

15 დეკემბრიდან მოვაწყობთ აგრო-ტექპროპაგანდის წრეებს და ჩავაბამთ მათში კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მასებს.

შესაკეთებელი მანქანა-იარაღების აღრიცხვას დავამთავრებთ 15 დეკემბრამდე და მის რემონტს 1-ლ დეკემბრამდე. 20 დეკემბრამდე ყველა. სას. საბჭოებისათვის და კოლმეურნეობებისათვის შედგენილი იქნება საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის საორიენტაციო გეგმები და მას დავიყვანთ ადგილებამდე. შევქმნით ყოველგვარ პირობებს მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მაღალ საფეხურზე ასაყვანად და უზრუნველვყოფთ მთელი პარტიული მასების ჩაბმას პარტიულ სწავლებაში. გავამახვილებთ პარტიული მასების ყურადღებას პარტწმენდის მზადების გარშემო და შევქმნით ყველა წინასწარ პირობებს წმენდის ჩატარების ნამდვილი ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის. „პრავდას" მოწინავეს და ამხ. ბერიას წერილს ფართოდ გავაცნობთ მუშათა მასებს სპეციალური პროფდღეების და პარტგანათლების ქსელში დამუშავების გზით. აი ის ვალდებულებები, რომლებიც იკისრა ბორჯომის რაიონის პარტორგანიზაციამ.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის საწარმოებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს მაგ. შუშის ქარხანა ნოემბერში და ოქტომბერში დღიურად უშვებდა 26—27 ათას ცალ ბოთლს. ამჟამად იგი დღიურად გვაძლევს 37.000 ბოთლს. ამავე ქარხნის პირველმა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის წევრის ამხ. **შოთაშვილი**, 7 დეკემბერს 37.000 ლიტრი წყალის ნაცვლად ჩამოასხა 55.000 ლიტრი. ასევე გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს სხვა საწარმოები და ბრიგადები.

ბორჯომის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გზით უნდა მოიპოვოს პარტიის მე-17 ყრილობაზე გამარჯვების პატაკით წარდგომის უფლება.

ა. ალიბეგაშვილი

ბოლშევიკურად დავეუფლოთ ელექტროწევის ტექნიკას

„ტექნიკის სახლი" ხაშურში სუსტად მუშაობს

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია რეკონსტრუქციული ხასიათის უდიდესი ღონისძიებაა, რომელიც ა.-კ. რკ. გზაზე ჩატარდა უკანასკნელ წლებში. იგი იპყრობს არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივობის ყურადღებას.

ეს ბუნებრივიც არის. სურამის უღელტეხილი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე მაგისტრალური ხაზის ელექტროფიკაციის პირველ ცდას. მალე წელიწადნახევარი შესრულდება, რაც საბჭოთა, ამერიკული და, უკანასკნელ დღეებში, იტალიური ელექტრომავლები მუშაობენ სურამის უღელტეხილზე. ღია და დახურულ ქვესადგურებზე, რომლებიც აწვდიან ენერგიას ზესტაფონიდან — ხაშურამდე გაჭიმულ საკონტაქტო ხაზს, მუშაობენ ურთულესი დადგმულობანი. ელექტროფიკაციო მშენებლობაში ჩაბანდებულია უდიდესი თანხები და, წინასწარი გამოანგარიშებით, მინიმალური დროის განმავლობაში უნდა იქნეს ანაზღაურებული მაზუთის დაზოგვით, რემონტის გამარტივებით, უბნის გამტარუნარიანობის გაზრდით და მთელ რიგ სხვა უპირატესობებით, რომელიც ახასიათებს ელექტროწევას.

ყოველივე ეს სერიოზულ ამოცანებს აყენებს ელექტროფიკაციის მუშაკების წინაშე ყველა დადგმულობის და ძრავების ტექნიკის სასწრაფოდ ათვისების დარგში.

ტექნიკის ათვისება ელექტროფიცირებულ უბანზე უნდა წარმოებდეს ელექტროტექნიკის და ელექტროწევის თეორიული საფუძვლების შესწავლით და ყველა დადგმულობის მართვის ტექნიკის დაუფლებით.

ამ მხრივ სათანადო მუშაობა გაიშალა; ელექტროწევაზე გადასვლისთანავე. სახელმწიფომ დახარჯა გარკვეული თანხა ხაშურში; ელექტროწევის ამ მთავარ უბანზე, ლენინის სახელობის „ტექნიკის სახლი" მოსაწყობად. მაშინ იქ მოეწყო საკმაოდ მოზრდილი ტექნიკური ბიბლიოთეკა, სადაც შეიძლებოდა გეპოვათ ყოველი სახის ახალი ლიტერატურა საბჭოთა და საზღვარგარეთული ელექტროტექნიკური მეცნიერებისა და თეორიის მიღწევების შესახებ. გამოწერილი იყო 36 სხვადასხვაგვარი ტექნიკური ჟურნალი, რომლებიც აშუქებენ საბჭოთა ელექტროტექნიკის ყველა მიღწევას. იქვე პერიოდულად გამოდიოდა ნაბეჭდი გაზეთი 700—800-ანი ტირაჟით, რომელიც აშუქებდა ტექნიკის ათვისების მდგომარეობას

ლენინის სახელობის ტექნიკის სახლის კაბინეტები სავსე იყო ელმავლების მემანქანეებით, მათი თანაშემწეებით, ელდეპოს ზეინკლებით და მონტიორებით და წევის ქვესადგურის და საკონტაქტო ქსელის ელექტრო მონტიორებით.

მეცადინეობა ფართოდ იყო გაშლილი. მასწავლებლები — ელექტროფიკაციის ინჟინერები დაუღალავად უხსნიდენ, კითხულობდენ ლექციებს, ამოწმებდენ ცოდნას და დაწვრილებით არჩევდენ სქემას; შემდეგ გაჰყავდათ მუშაკები პრაქტიკულ სამუშაოებზე — ელმავლებზე, ქვესადგურებში და იქ აცნობდენ მათ დეტალებს.

იქვე წარმოებდა თვითეული შემთხვევის, ავარიის, ან რაიმე მარცხის შესწავლა და მისი მიზეზების გამორკვევა.

ეწყობოდა ტექნიკური გასამართლებები, რაც მუშაკების დიდ რიცხვს იზიდავდა, ტექნიკური ვიქტორინები; ტექბრძოლები, რაც ტექნიკის ათვისებას განსაკუთრებით უწყობდა ხელს.

მუშამ ტექნიკის ათვისებისათვის მოიცვა არა მარტო ხაშურელი მუშაკები; ტექნიკური კაბინეტები გახსნილი იყო მოლითსა და ზესტაფონშიც, სადაც აგრეთვე ადგილობრივ საინჟინრო-ტექნიკური მუშაკები ატარებდენ მეცადინეობას.

ბოლოს, ელექტროფიკაციის მუშაკთა ამ ენტუზიაზმმა თავისი გამოხატულება ჰპოვა მათ მიმართვაში საბჭოთა კავშირის ყველა რკინის გზელისადმი;

ყოველივე ამან პირველად მიგვიყვანა მარცხების და ავარიების მაქსიმალურად შემცირებამდე, ხოლო, შემდეგ კი მის სრულიად აღმოფხვრამდე.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ, ა.-კ. რკ. გზის ელექტროფიკაციის განყოფილების ადმინისტრაცია **ლევინის და თამრაზოვის** სახით და ელდეპოს უფროსი **შუბლაძე** სათანადოდ არ უწყობდენ ხელს ამ დიდ საქმეს. ამის გამო როგორც კი მოხდა ტექნიკის სახლის ხელმძღვანელობის შეცვლა, ეს სასარგებლო წამოწყება ჩაიშალა, მუშაობა ტექნიკის დაუფლებისა და ტექნიკური პროპაგანდის დარგში ერთბაშად შეწყდა.

ტექნიკის სახლის ახალმა გამგემ — **ნადირაძემ** სამარცხვინოდ ჩაშალა მუშაობა. ის ან ტფილისშია, ან მთელ დროს ჭადრაკის თამაშში ატარებს.

დღეისათვის ელექტრომავლის არცერთ მემანქანეს არა აქვს ჩაბარებული ტექმინიმუმი, რაც მათ უნდა ჩაებარებიათ სექტემბერსა და ოქტომბერში.

და სწორედ უკანასკნელ პერიოდში ჰქონდა ადგილი იმ ავარიებისა და მარცხებს, რომელთაც საზიანო გავლენა მოახდინეს ელექტროწევის ექსპლოატაციაზე.

ელექტროწევის ტექნიკის დაუფლება, ეს ერთმანეთთან დაკავშირებულ მაჩვენებლების კომპლექსია, რომელიც გულ სხმობს მექანიზმების ათვისებას, აპარატურის კარგ მუშაობას, შრომის ნაყოფიერების გაზრდას, და ყველა მოწყობილობისადმი, სიყვარულით მოპყრობას. მაგრამ სწორედ ამას არ ვხედებით ახლა ზოგჯერ სურამის უღელტეხილზე.

განა აღმაშფოთებელი უმსგავსოება არ არის, როდესაც წევის ქვესადგურის ენტუზიასტების მიღწევა — 2 კვადრატულ მეტრიან ფიცარზე მოწყობილი შემცირებული სახის მთელი ღია ქვესადგური, თავისი დეტალებით— მიჰყიდეს ვიღაცას და ისიც 200 მანეთად? ეს ნამუშევარი პირველყოვლისა საჭირო იყო ტექნიკის სახლისათვის, რომ ღია ქვესადგური თვალსაჩინოდ ყოფილიყო შესწავლილი. ამასაც, რომ თავი დავანებოთ, ეს მოდელი ღირდა არა ნაკლებ 1500 მანეთისა. აი მეორე მაგალითიც მუშათა შემოქმედებითი ენტუზიაზმის შეუფასებლობისა. ამასწინათ საკონტაქტო ხაზის მუშები აკეთებდენ საკონტაქტო გამმულობის მოდელს. მუშაობის დროს იქ მივიდა გზის ელექტროფიკაციის განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. თამრაზოვი, რომელმაც თავისი უაზრო სიტყვებით ყოველგვარი ინტერესი დაუკარგა მოდელზე მომუშავეებს.

— რა სათამაშოებს აკეთებთ თქვენ აქ, ვინ მოგცათ ამის უფლება, — შეუტია მან მუშებს.

„პრავდას" 20 ნოემბრის მოწინავეში ჩვენ ვკითხულობთ: „პროლეტარული სახელმწიფო უახლოესი მომავლის ტექნიკის საფუძველზე აშენებს ახალ, სოციალისტურ მრეწველობას, იმისათვის, რომ მან შესძლოს მუშაობის უფრო მაღალი მაჩვენებლების მოცემა, ვიდრე იძლევა იგივე ტექნიკა კაპიტალიზმის პირობებში"-ო. ამისათვის,—განაგრძობს „პრავდა", — აუცილებელია დაჟინებით განვაგრძოთ დამკვრელების მიერ დაწყებული ბრძოლა ახალი ტექნიკის ათვისებისათვის. ყველა პარტიული, კომკავშირული, პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანაა, მოაწყონ სერიოზული ტექნიკური სწავლება, ახალგაზრდებსა და მთელ მუშათა მასებში". „პრავდას" ეს მითითება კარგად უნდა შეეგნოთ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის მუშაკებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს არ ჩანს.

დაუყოვნებლივ უნდა გარდაიქმნას მუშაობა ელექტროწევის ტექნიკის ათვისების დარგში, რომ წარმატებით ჩავაბაროთ ტექმინიმუმი და განავითაროთ ტექნიკური სწავლების ყველა ფორმა. პროფორგანიზაცია ნამდვილად უნდა ჩაუდგეს სათავეში ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლას, მან უნდა დარაზმოს მუშათა მასები და ამ მიზნით მათ შორის გაჩაღოს სოცშეჯიბრება.

ელექტროწევის მუშაკებს არაერთხელ უჩვენებიათ ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშები, ისინი ახლაც შესძლებენ ნამდვილად მოჰკიდონ ხელი ტექნიკის დაუფლებას, რომ პარტიის მე-17 ყრილობისათვის ამ დარგში მოიპოვონ მნიშვნელოვანი მიღწევები.

ხაშურელი.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ციტრუსების სამეფოში

ალიონი წამოხრილიყო, როცა თახსინ ლეზგიოღლიმ ოთახის კარი გააღო და პერანგის ამარა აივანზე გამოდგა. ეზოს გადახედა ლეზგიოღლიმ, დაბურდულ ბუჩქებს მზრუნველის თვალით მიუალერსა.

თენდება. ნელ-ნელა იღვიძებს გარჯილობაში დანაქანცი მოსახლეობა... ბურანიდან გამოდის და განახლებული ენერგიით ხვდება ცისხამ დილასა და შემოდგომის ბარაქიან გათენებას. მატულობს ხმაურობა, ცოცხლდება არე-მიდამო, და შრომის ქარბუქში დავაჟკაცებული კოლექტივილები, თვალების ფშვნეტით მიიჩქარიან გუშინ საღამოს მიტოვებულ სამუშაოზე.

ხშვი ჩამდიარა კოლექტივის მიწა-მამულში. დღის ხანგრძლივობა აღარ ჰყოფნის უხვი მოსავლის მოჰირნახულებას და წახალისებული კოლექტიველები, მთვარის შუქზე უტევენ რთველის მოახლოებას... ვახშმობის დრო გავიდა მაგრამ დამუხლებასა და შესვენებაზე ჯერ არავინ ფიქრობს.

ბარაქიან კალოზე ისმის აჭარული „ხელხვავი" და მოპირდაპირე გუნდების ცინცხალი მოძახილი. სიცილკისკისში ატარებენ კოლექტიველები შემოდგომის რთველჩადგმულ დღეებს და ყოველ მზის ამოსვლას დაუფერფლავი ხალისით ხვდებიან.

თახსინ ლეზგი ოღლი პერანგის ამარა დაჰყურებს ხელისგულსავით გადაშლილ ბაღნარს და დატიხრულ საზღვრებს რომ ვეღარ ხედავს ჩუმჩუმად იღიმება. შეყვითლებული ფორთოხლებითა და მანდარინებით დაკუნწულ ბუჩქებს, ბავშური აღტაცებით ელოლიავება.

— თახსინ, ა თახსინ! — მოესმა მკერდ გაღეღილ აჭარელს მეზობელ რეჯების მჭექარე ხმა და წახალისებულმა ლეზგი ოღლიმ პასუხი აღარ დააყოვნა.

— მოუდივარ, რეჯებ, მოუდივარ.

თახსინ ოთახში შებრუნდა, ფინჯაკი გადიცვა და ზურგზე გოდორწამოსკუპებული ფორთოხლის ბაღისაკენ გაექანა.

ფორთოხალს კრეფენ კოლექტიველები.

ათ წელზე მეტია, რაც თახსინ ლეზგიოღლი განუწყვეტლივ მუშაობს ციტრუსოვან პლანტაციებში. სპეციალური ცოდნა არ მიუღია მას, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობით, გამოცდილ აგრონომს არ ჩამოუვარდება. მშვენივრად იცის, თახსინმა ლიმონისა და ფორთოხალ-მანდარინის მყნობა. სამყნობი ტოტების შერჩევა, მიწის შეხავება, ნერგის ჩაყრა თუ გადარგვა, გადარგულის საზაფხულო მოვლა-პატრონობა საზამთრო შეფუთვნა და სათბურების გაწესრიგება.

ურეხელ კოლექტიველებს საკითხავ კაცად ყავთ თახსინ მიჩნეული და მისი რჩევა-დარიგების გარეშე ნაბიჯსაც არ გადადგამენ. ამ დილითაც სწორედ რჩევა-დარიგებისთვის დაუძახეს ლეზგიოღლის.

მიდის თახსინ ფორთოხლის ბაღის ვიწრო ბილიკზე და თვალს იტაცებს მოსავლის იშვიათი ბარაქიანობა... ნაყოფის სიმძიმისაგან დაზნექილი ტოტები მშველელს ელოდება...

წელს მაინც ჯერ არნახული მოსავალია. ასეთი ბარაქა ხუთ წელში ერთხელ თუ გამოერევა. მერე რა მსხვილებია...

— ექსტრაა, ნამდვილი ექსტრა!— ბუტბუტებს თავისთვის ლეზგიოღლი და ფორთოხლებს თვალით ახარისხებს.

— საკაბინეტოც ბევრი ურევია, „შერჩეულსაც" ბევრს დავამზადებთ. პირველი ხარისხის კი 40 პროცენტზე მეტი იქნება... შარშან სამასიათასი მანდარინი დაამზადა ჩვენმა კოლექტივმა. წელს ამდენი მარტო ფორთოხალი იქნება. მანდარინის მოსავალი სამ მილიონსაც გადააჭარბებს... გაზეთებში სწერენ: აჭარისტანი, რამოდენიმე ათეულ მილიონ მანდარინს დაამზადებსო. საოცარია ღმერთმანი! სასწაულია, ნამდვილი სასწაული...თუმცა ღმერთი აქ არაფერ შუაშია...რაც მოხდა,კოლექტივების შემოღებით მოხდა და გიჟია ფუხარა აჭარლები, კოლექტივზე გული აიცრუონ, კოლექტივის დუშმანი გახდენ?! ივავაშ, მეზობლებო, კოლექტივის ძვირი ჩვენს გულს აღარ გაეკარება. ფუხარა აჭარელს მანდარინის ბაღს ვინ დაასიზმრებდა?! ბეგის მამულში ფეხს ვინ შეადგმევინებდა?! დღეს ჩვენია ეს მამულები, ჩვენია მისი მოსავალი..

თახსინ ფიქრებმა გაიტაცა და ახალგაზრდობის მწარე მოგონებანი თვალწინ წამოეშალა: თოთხმეტი წლის თახსინ ჯემალ-ბეგს მიაბარეს მოჯამაგირედ. შეძლებული მემამულე იყო წინად ჯემალ-ბეგი, ბევრი მიწა მამულისა და უძრავ-მოძრავი ქონების პატრონი. შვილები რა ხანია წამოეზარდენ ჯემალს და უმაღლეს სწავლა მიღებულნი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში დარჩენ. ქალიშვილები დათხოვდენ და საკუთარ ოჯახებს მოეკიდენ. დარჩა ჯემალ-ბეგ, ვებერთელა ოჯახში, თავისი მეუღლის ფატმა-ხანუმის შემხედვარე. ქონება ბევრი აქვს შეძლებულ მემამულეს, ოჯახის შემოსავალი ერთ სოფელს შეინახავს, მაგრამ მუშა-ხელი რომ აღარ ყოფნის? აქაიქ კოლექტივებზეც დაიწყეს ლაპარაკი... რამდენიმე ნაჭერი მიწა ჩამოართვეს ჯემალს, გამწევი საქონელიც, მაგრამ რაც შერჩა იმასაც მოვლა-პატრონობა სჭირდება... ერთი მოახლე გოგო ყავს ობოლი ფერინე, მაგრამ ერთი გოგოს ამარა რას გახდები. დაფიქრდა ჯემალ-ბეგი.... რჩევა-დარიგებისათვის ისევ ფატმა-ხანუმს მიმართა.

— ავიყვანოთ მოჯამაგირე... საქვეყნოთ „შვილებული" დავარქვათ და... ვათრიოთ ალმა-დალმა.

— დიდებულია... დიდებულია, ფატის ვფიცავარ!—უყოყმანოდ დაეთანხმა ცოლის რჩევას ჯემალბეგი და აღარ დააყოვნა, შვილობილად თახსინ ლეზგიოღლი გამოაცხადა. შინ მოიყვანა და სამუშაოები ჩააბარა.

მას შემდეგ მუშაობს ლეზგიოღლი ჯემალ-ბეგის ოჯახში და თავს შეპირებისამებრ ოჯახის მონაწილედ გრძნობს, მაგრამ გავიდა ერთი წელი, გავიდა ორი... რამდენი რა გაიყიდა ოჯახის მოსავლიდან, რამდენი შემოსავალი დატრიალდა ხელმომჭირნე ოჯახში, მაგრამ თახსინს თუთუნის საყიდლად გროშიც ენატრება... არც ტანფეხზე აცვია, არც სხვა რამე ეგულვება მის სახელზე მისი შრომით გალაღებულ ოჯახში... საქვეყნოთ კი ჯემალ-ბეგის „შვილობილია" თახსინ ლეზგიოღლი. შინ თუ გარედ მუდამ ცალუღელაშია გაბმული და მუხლის მოკეცა ენატრება.. გულცივობას კი გრძნობს თახსინ ჯემალის მიპყრობაში მაგრამ თუ სულ გაიმეტებს და ამდენი შრომის გადამტან თახსინს, ხელცარიელზე დატოვებს, ეს მაინც ვერ წარმოუდგენია.

— სიტყვას როგორ უღალატებს? —ფიქრობს ლეზგიოღლი და შესაფერ დროს დაეძებს, რომ შრომის ანაზღაურებაზე ჩამოუგდოს სიტყვა ჯემალ-ბეგს და ნაფუზვარიც სთხოვოს ცალკე დასახლებისა და ფუტის გაჩენის მიზნით.

— უარს როგორ მეტყვის? სიტყვას როგორ გადაუხვევს?—აიმედებს თავისთავს ლეზგიოღლი და ყოველ ცისმარე დღეს შრომასა და გარჯილობაში აღამებს.

ჯემალი ვარაყიანი სიტყვებით აბრუებს ერთგულ მოჯამაგირეს და ცალკე ფუტის დანთებაზე სასტიკად ეწინააღმდეგება.

— აბა, ერთი ხელი ტანისამოსი მიყიდე. გარედ გამოსასვლელი არაფერი მაქვს. გაბედა ლეზგიოღლიმ.

— გიყიდი თახსინ-ეფენდი!— ტკბილი სიტყვით უქონავს თავს მოჯამაგირეს გაიძვერა მემამულე და შეპირებულის განაღდებას განგებ აგვიანებს...

დატრიალდი თახსინ, და რაც დაგპირდი ხომ იცი...—ხშირად მოაგონებს ჯემალი ერთგულ მოჯამაგირეს ალბათ იმ მოსაზრებით, რომ თახსინმაც იფიქროს, საცაა შეპირებული გამინაღდებენო.

— ფორთოხალს მიხედე, თახსინ!

— მანდარინს ჩამოუარე!

— ხეშარბათო ყურძენი გამობურდე და გააკენკილე!

— ვაშლი ფრთხილად დაკრიფე!

— ხეჭეჭურს გაუფრთხილდი, არ დაიჟეჟოს.

— ხურმა არ მოგვიყინოს.

— ლიმონი არ დაჭირიანდეს... ერთგულად... შენებურად და ხომ იცი!..—ყოველდღე სტყვასავით წაუშენს ჯემალ-ბეგი ლეზგიოღლის. რაც დრო მიდის თახსინიც ხედავს როგორ მოტყუვდა ის, როცა „შვილობილობაზე" თანხმობა განუცხადა და გასამრჯელოზე, რომ თავიდანვე მოქრით არ გაურიგდა გაიძვერა მემამულეს.

ფატმა-ხანუმის მოახლე, ფერინეც —ამ დღეშია. წელიწადი ისე გაივლის, რომ ერთი ჩითის კაბას არ აღირსებენ უპატრონო გოგოს, ოჯახის შემოსავლიდან გროშს არ წაუგდებენ, მაგრამ საჩივარს ვინ გაუბედავს?!

რომ გამაგდოს, ვის შევეკედლო? —ფიქრობს ფერინე და თავის გასაჭირს ისევ თახსინს თუ გაუზიარებს, თორემ სხვა არავინ ეგულება გამკითხავი და გულშემატკივარი.

ნიგვზის ჩრდილში კი განუწყვეტლივ იმის შილიფად ჩაცმულ ჯემალ-ბეგის ბოხ-ხმიანი შეძახილი: — შამი-ბეში ძაღლის ძვალო!

— მართლა რომ ძაღლი ხარ, ქოფაკი ძაღლი! — გაუელვებს მუშაობით ქანც მიხდილ თახსინს ჯემალის შეძახილზე და თოხზე დაყრდნობილი ფიქრებს მიეცემა.

— რას ჩაფიქრებულხარ თახსინ, რომელი „პარახოდის" დაღუპვას გლოვობ? დაცინვით გადაძახებს ჯემალ-ბეგი შემუხლებულ ლეზგიოღლის და კამათლებს აზარტით აგორებს.

— სავლოვი და სატირალი ბევრი მაქვს მარა...

— მაინც?!

— ყველაფერი...

— ბიჭო, ამოდენა ოჯახი ვიღაც უპატრონო ბიჭს გაგიზიარე, შვილობილად აგიყვანე და მე არ ვტირი... შენ რაღა გაქვს სატირალი, ა?

— კარგი ერთი... „გაგიზიარე"... ვიცი რა გამიზიარე და როგორც დამიბრუყე...

— არ მოგწონს ჩემი ოჯახი? სთქვი და სხვას მოვიყვან! რას გაჩუმებულხარ?

— ვერც ვერავის მოიყვან და არც ჩემს ნაშრომს დაგანებებ, — გაბედა ლეზგიოღლიმ და ათხი წლის მანძილზე დაგუბებული ნაღველი ერთბაშად გადმოანთხია.

— აბა შენ ყოფილხარ ჩემი ოჯახის უფროსი?! — მოიჩრდილა შუბლი ჯემალ-ბეგმა და გასაგონებლად აღებული კამათლები ხელში შეაცივდა. თახსინ ხმის ამოღებით განცვიფრებული დარჩა.

— უფროსი არა ვარ, მაგრამ მონაწილე ვარ... რომ არაფერს ვამბობ, გულს კი არ გაგივიდეს...

— ხა-ხა-ხა! საბუთი?! რომელი ნოტარიუსის ძალით?! რომ გეხუმრებოდი, მართლა გულში ხომ არ ჩაგივარდა?!

— საბჭოთა კანონი ასეთ ქაღალდს არ თხოულობს.

— ქაღალდი რათ გვინდა, როცა ჩვენი ოფლის ღვრას ქვეყანა ხედავს... წაექომაგა ფერინე გულმოსულ ლეზგიოღლის და სარეცხით სავსე ტაშტი აივანზე შედგა. უკან გამობრუნებულმა გზადაგზა ჩამოშლილი თმები შეისწორა და წელზე დოინჯ შემოდგმული, ჯემალის შორიახლო დადგა.

ჯემალმა თავი ასწია. ფერინეს დაწკურული თვალებით შეხედა და მოპირდაპირის მიერ მოკლული ქვა ნარდზე დაანარცხა.

— აჰა, კანონ-სამართლის მცოდნეები! აწი რაღა გვეჭირს!? რას იტყვი ხუსეინ ეფენდი!—რისხვით შესძახა ჯემალმა მოპირდაპირე აჭარელს და სარკასტულად გადაიხარხარა.

ამ გახსენებაზე დავბასეს გეტყვი, ჩემო ჯემალ!—ხუმრობაში ჩაუკრა ხუსეინ-ეფენდის და თანხმობის გამოცხადებამდე კამათელი ხელში გააჩერა.

— გააგორე! მოვდივარ... — არ დააყოვნა ჯემალმა — უნიფხოების წაღებას, შენ წაიღო ის მირჩევნია... ადვოკატებს უყურეთ... კანონ-სამართალზეც რომ ლაპარაკობენ?!.— ვერ ისვენებს ჯემალი.

— რატომაც არ ვილაპარაკებთ... —წათამამდა ფერინე — ვინც შრომობს — კანონ-სამართალიც მის მხარეზეა...

ჯემალმა შუბლი შეიკრა. მოახლე გოგოს შელაპარაკებას ვეღარ გაუძლო და მოულოდნელად ისე დაიქუხა, გეგონებოდათ ვულკანმა ამოხეთქაო.

ფორთოხლებში მიმავალი თახსინი ფიქრებიდან გამოერკვა, მაგრამ გამხეცებული ჯემალ-ბეგი ისევ თვალწინ ედგა და სავსე მკერდით ღრიალებდა: ხვალიდანვე აიბარგეთ ჩემი ოჯახიდან... ამიერიდან თვალით აღარ დამენახოთო.

ჯემალმა, მართლაც გააგდო ოჯახიდან ფერინე და თახსინ ლეზგიოღლი.

—წადით, მიჩივლეთ, და რასაც თქვენი საბჭოთა კანონ-სამართალი მოგისჯით, მომცემი ვარო. — ამ სიტყვებით გაისტუმრა ჯემალ-ბეგმა 8 წლის უჯამაგიროთ ნამსახური ფერინე და ხუთი წლის „შვილობილი" თახსინ ლეზგიოღლი.

ჯემალმა ფორთოხლის ბაღს გადახედა და ღიმილით აბუტბუტდა: ეგონა ადვილად მოვეშვებოდი. ჩემი ხელით ნამყენ ფორთოხალსა და მანდარინებს დაუტოვებდი. ხელმომთხარ ოჯახს საკუთრად შევარჩენდი. ასე როდი გასჭრა ჩვენმა კანონ-სამართალმა.

იჩივლეს თუ არა საბჭოში, ჯემალი დაუყოვნებლივ დაიბარეს და ყოველმხრივ დაკითხეს... ჩვენება შეეშალა ჯემალ-ბეგს... ენა დაება და წინასწარ გამოკოპიტებული ტყუილები ერთმანეთში აერ-დაერია.

— რატომ არაფერს აძლევ ლეზგიოღლის. — შეეკითხენ ჯემალს სოფლის საბჭოში.

— დამცინით?! რა უნდა მივცე!? —იუარა ჯემალმა და თავი მაგრად დაიჭირა.

— კოლექტივის დაარსებაზე რა აზრისა ხართ?

— კოლექტივი?! აჭარისტანში კოლექტივი ნაადრევი ამბავია, თორემ... თავი კაცები ასე ამბობენ, თურმე და...—აიღრინა ჯემალი.

— „თურმე"? თურმე სადაური პასუხია... თურმე მკითხაობაა ჯემალ-ეფენდი.

— რა ვიცი, ასე ამბობენ და... მე რომ მკითხოთ, აჭარისტანში ჯერ ნაადრევია კოლექტივზე ლაპარაკი.

—ვთქვათ, შენი ეზო მამული კოლექტივს გადავეცით, თქვენ კი სამაგიეროდ სხვაგან დაგასახლებთ... —მოუჭრა საბჭოს თავმჯდომარემ.

— დამცინით? — ძლივს შეიმაგრა შეგუბებული რისხვა ჯემალბეგმა და საბჭოს ოთახი კიდია-კიდემდე დაათვალიერა. გაფიცხება ვერ გაბედა და ისევ დაშვებული კილოთი განაგრძო: — სხვაგან რისთვის უნდა გადამასახლოთ? რა დამიშავებია.

— შენი ეზო-მიდამო მთლიანი კოლექტივიზაციის ფონდში მოხვდა ჯემალ-ეფენდი, და სოფლის საბჭოს დადგენილებით სხვაგან უნდა გადასახლოთ.

— მთ...ლია...ნი კოლე-ქტივი-ი-ზაციის ფონდში?!! ვიცი... ვიცი.... — აუწია ხმას ჯემალმა — ჰკვიანსა და შრომის მოყვარე ხალხს უნდა ჩამოართვათ, უტვინოებსა და ზარმაცებს უნდა დაურიგოთ...

მეხი დაეცა ჯემალ-ბეგს. ყურს არ უჯეროდა, მაგრამ კოლექტივის დაარსება, რომ უკვე სინამდვილე იყო, ეს სადაოდ აღარ მიაჩნდა. წელგაწყვეტილი გამოვიდა ჯემალ სოფლის საბჭოდან და საბჭოს შენობის წინ თავშეყრილ ხალხში თახსინს დაუწყო თვალიერება.

— თახსინ! —დაუძახა ჯემალმა სადალაქოს კარზე მიმდგარ ლეზგი-

ვინ აბრკოლებს ტყიბულის მაღაროების გარღვევიდან გამოსვლას

(ტყიბული, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საქ. სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა 1933 წ. 8 აპრილს გამოიტანეს ისტორიული გადაწყვეტილება დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შესახებ. იგი მთლიანად ეხებოდა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებსაც, სადაც „სამარცხვინო უკანსვლის მიზეზი იყო მრეწველობის ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდი“. საუკეთესო ინჟინერ-ტექნიკოსები თავმოყრილი იყვნენ მაღაროების სამმართველოში და უბნები მოკლებული იყო ცოცხალ, კონკრეტულ ხელმძღვანელობას.

8 აპრილის ისტორიული გადაწყვეტილების შემდეგ მუშაობას დაეტყო გამოცოცხლება. მაღაროების ორგანიზაციებმა გაშალეს ბრძოლა მუშაობის მთლიანად გარდაქმნისათვის და უკანასკნელ ხანებში კიდეც მოიპოვეს ერთგვარი წარმატება.

1933 წლის საბრძოლო პროგრამა შეიცავს 320.000 ტონა ქვანახშირის ამოღებას. აქედან გასული 11 თვის განმავლობაში ამოღებული უნდა ყოფილიყო 305.000 ტონა. ფაქტიურად ამოღება უდრის 153.446 ტონას, ანუ გეგმის 50,3 პროცენტს. გეგმის შესრულებაში უბნების მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს: ლენინის სახელობის უბანმა ნაცვლად 124.312 ტონისა, ამოიღო 58.891 ტონა, გეგმა შეასრულა 47 პროცენტით. სტალინის სახელობის უბანმა ამოიღო, ნაცვლად 160.705 ტონისა, 89580 ტონა, გეგმის 55,7 პროცენტი, ხოლო თიხნარის უბანში ამოღებულ იქნა 4.975 ტონა, ანუ გეგმის 24,9 პროცენტი.

სამარცხვინო ჩამორჩენას აქვს ადგილი შრომის ნაყოფიერების დარგში. ასე მაგ.: თერთმეტი თვის განმავლობაში თუ ერთი მუშის მიერ ყოველთვიურად ამოღებული უნდა ყოფილიყო 19 ტონა ქვანახშირი, ფაქტიურად ამოღება არ აღემატება 15 ტონას, რაც შეადგენს გეგმის 78,9 პროცენტს.

როგორ „ამარაგებს“ უბნებს მაღაროების სამმართველოს მომარაგების განყოფილება

ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვანი და სერიოზული ადგილი უჭირავს გვირაბების სხვადასხვა საჭირო მასალებით მომარაგებას. მომარაგების განყოფილება უნდა ამარაგებდეს მაღაროებს ასაფეთქებელი, სამაგრი მასალით, ნავთით, ბენზინით, საშენი მასალით და სხვა, მაგრამ ეს მხოლოდ მოვალეობაა, შესრულება კი... „ცოტა“ სხვანაირი.. **მომარაგების განყოფილების გამგედ ზის უუნარო და მოუქნელი მუშაკი მაჭარაშვილი**, რომელიც ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ საქმეს. ამას ადასტურებს ფაქტები, რომლებსაც ჩვენ აქვე დავასახელებთ.

ასაფეთქებელი მასალის გარეშე შეუძლებელია ქვანახშირის მონგრევა. ნალმების უქონლობა გამოიწვევს მუშაობის მთლიანად შეჩერებას. ამიტომ საჭირო არის ყოველთვის წინასწარ იქნეს ზომები მიღებული აღნიშნული მასალის მომარაგებისათვის. მაგრამ ტრესტის მომარაგების განყოფილებას არ ჩაუტარებია სერიოზული მუშაობა ამ მხრივ. მან 3 თვის წინედ ნალმები გამოიწერა კიევიდან, მაგრამ ის დღემდე არ ჩანს, რის გამოც მაღაროები განიცდის ასაფეთქებელი მასალის სიმცირეს. ამ მიზეზით მუშაობა 30 ნოემბერს ძალზე შეფერხდა. შეფერხება ამჟამადაც დიდია. მაგ., მარტო სტალინის უბანში თითო ცვლაში ნაცვლად 150 ნალმისა იხარჯება 80. ასეთივე მდგომარეობაა ლენინის უბანშიც. მაჭარაშვილი კი უპასუხისმგებლოდ აცხადებს: „ასაფეთქებელი მასალა საკმაო გვაქვს და არავითარ სიმცირეს არ განიცდითო“. მაჭარაშვილი ტრესტის კანტორიდან არ გადის, მაღაროების მდგომარეობას არ ეცნობა და რა გასაკვირია, რომ მდგომარეობაში ვერ ერკვეოდეს.

ასაფეთქებელი მასალის მოუწოდებლობის საქმეში უნდა აღინიშნოს რკინის გზის უპასუხისმგებლობაც. კიევიდან 3 თვის წინად გამოგზავნილი ნალმები მაღაროებს დღემდე არ მიუღია. უკანასკნელად გამოირკვა, რომ აღნიშნული მასალა გადმოეტვირთათ სადგ. კუხეთში (ბაქოს ხაზზე), და დღემდე იქ აწყვია. ასეთი უპასუხისმგებლობისათვის სადგ. კუხეთის ადმინისტრაციას სათანადო ორგანოებმა სასტიკი პასუხი უნდა მოსთხოვონ.

აღნიშნული მდგომარეობის შესახებ მაღაროების ტრესტის მომარაგების განყოფილებას ცნობა 9 დეკემბერს მოუვიდა, მაგრამ მიუხედავად ასაფეთქებელი მასალის ნაკლებობისა 13 დეკემბრამდე არ მიუღია ზომები ასაფეთქებელი მასალის დაუყოვნებლივ ჩამოსატანად.

ძალზე ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე სამაგრი მასალის მომარაგების დარგში. მაღაროების ტრესტს ხელშეკრულება დადებული აქვს ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობასთან იმის შესახებ, რომ მან სისტემატურად მიაწოდოს ბიგები მაღაროებს. ორი თვეა, რაც მაღაროები ბიგების ნაკლებობას განიცდიან. ამ საქმეში თვით ტრესტის მომარაგების განყოფილება არის დამნაშავე. ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ დაამზადა 60 ვაგონი ბიგები, მაგრამ მაღაროების სამმართველომ მას არ გადაურიცხა სათანადო თანხა და აღნიშნული მასალა დალპა. უკანასკნელ დროს მოიტანეს დამპალი ბიგები და დღესაც იმით აწარმოებენ გვირაბების გამაგრებას, რაც მხოლოდ დროს გაცდენას იწვევს და შრომის ნაყოფიერებას სცემს. ვინაიდან დამპალი ბიგი მეორე დღესვე ტყდება და საჭიროა მის ადგილზე ახალის ჩასმა.

გვირაბებში გამაგრება ცხენების საშუალებით წარმოებს, მომარაგების განყოფილებას, კერძოდ, მის უფროსს მაჭარაშვილს სრულიად გადაავიწყდა, რომ ცხენებს კვება სჭირიათ. ეს მათ მაშინ „გაიგეს“, როდესაც ცხენებმა მუშაობა ველარ შესძლეს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ცხენებისათვის ნაქერალას ქედზე დამზადებული თივა უკვე დალპა და მისი საკვებად გამოყენება შეუძლებელია. მაჭარაშვილთან ერთად ამ საქმეში არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის მეტყევე **მინდიაშვილს**, რომელსაც დავალებული ჰქონდა თივის დროულად ჩამოტანა. ამჟამად ცხენების საკვების დარგში ცუდი მდგომარეობაა, ხოლო მომარაგების განყოფილების მუშაკები თავიანთ კაბინეტს არ სცილდებიან.

სანათურებისათვის ყოველთვის მომზადებული უნდა იყვეს ბენზინი. ეს მდგომარეობა რატომღაც გადაავიწყდა მომარაგების განყოფილებას და მაღაროს სანათურებში, ბენზინის უქონლობის გამო, ნავთს ასხამდენ. ნავთის ხმარება კი ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან იგი მალე ქრება და არც სინათლე აქვს კარგი.

ჩამოთვლილი ფაქტების შემდეგ მხოლოდ ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: საჭიროა ძირფესვიანად გადახალისდეს მაღაროების ტრესტის მომარაგების განყოფილების მუშაობა. იქ სამუშაოდ შერჩეული უნდა იქნენ უნარიანი მუშაკები, რომ სათანადო სიმაღლეზე დადგეს მუშაობა.

დენადობა კვლავ გრძელდება

საქ. სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. 8 აპრილის დადგენილებაში კატეგორიულ წინადადებას აძლევდენ დონბასის ორგანიზაციებს, გადამჭრელი ბრძოლა ეწარმოებიათ მუშათა დენადობის წინააღმდეგ და უახლოეს დროში აღმოეფხვრათ იგი როგორც დონბასს, ისე ტყიბულსაც. გასულ წელში ამ მხრივ არ ჰქონდა სანუგეშო მდგომარეობა. მაგ., 1932 წელში მაღაროში სამუშაოდ მოვიდა 3.356 კაცი, წავიდა კი— 3.770.

აღნიშნულ ციფრს უკვე გადააჭარბა 1933 წლის 11 თვეში გამეფებულმა დენადობამ. მაღაროების ტრესტის ცნობით 11 თვის განმავლობაში სამუშაოდ მოვიდა 4299 კაცი, წავიდა კი 4.050. ეს ციფრები მოწმობენ, რომ 8 აპრილის დადგენილების შემდეგ ტყიბულის მაღაროების ორგანიზაციებმა არა თუ გაამახვილეს ბრძოლა მუშათა დენადობის აღმოსაფხვრელად, არამედ ამ დარგში დაეყრდნენ თვითდინებას და არ მიიღეს ზომები არსებული მუშახელის დასამაგრებლად.

მაღარ. ტრესტის კადრების განყოფილება სუსტად იბრძვის მუშახელის მოზიდვისა და დამაგრებისათვის, თუმცა უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ მიღწეულ იქნა ერთგვარი წარმატება, მაგრამ იგი ოდნავაც არ არის საკმაო.

გეგმის შეუსრულებლობის ერთადერთ მთავარ მიზეზად მუშახელის სიმცირე უნდა ჩაითვალოს. 11 თვის განმავლობაში ყოველდღიურად ნაცვლად 1459 მუშისა საშუალოდ მუშაობდა 932 მუშა, ანუ 63,9 პროცენტი.

მუშახელის დენადობის ძირითადი მიზეზი მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობაში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ ადგილი ჰქონდა და აქვს დაუდევრობას მაღაროების საბინაო განყოფილების მიერ. მუშათა საცხოვრებელი ბინები ვერ არის მოწყობილი სათანადოთ. ინჟ. **ლიაპინის** მიერ ახლად აგეულ მუშათა საცხოვრებლებში წვიმა ჩამოდის. მიუხედავად იმისა, რომ მუშა მღებავმა სტეპანენკომ საბინაო განყოფილებას რამოდენიმეჯერ აცნობა ამის შესახებ, ზომები დღემდე არავის მიუღია.

არ წარმოებს სათანადო ბრძოლა გაცდენების წინააღმდეგ. 11 თვის განმავლობაში მაღაროებში უმიზეზოდ გაცდენილია— 9.024 შრომა-დღე, რაც ნიშნავს დაახლოებით 8.050 ტონა ქვანახშირის დაკარგვას.

კიდევ მეტად გავაძლიეროთ პარტმასობრივი მუშაობა

მაღაროებში 2 საბაზო პარტუჯრედი არსებობს. ორგანიზაცია აერთიანებს სულ 225 პარტწევრკანდიდატს. უნდა აღინიშნოს, რომ პარტმასობრივი მუშაობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ არის გარდაქმნილი. ყველა კომუნისტი დღემდე ვერ ამართლებს ავანგარდულ როლს, მაგალითად: სტალინის უბანში ცუდად მუშაობენ პარტორგები **შ. დუმბაძე, გ. ხუჯაძე** და სხვები. ამას ადასტურებს მათ მიერ გეგმის შესრულების მაჩვენებლები. ვ. გვეტაძის ბრიგადამ, სადაც პარტორგად შ. დუმბაძე მუშაობს, ნოემბრის გეგმა შეასრულა მხოლოდ 69,1 პროცენტით, ხოლო მ. ხაინდრავას ბრიგადამ (პარტორგი გ. ხუჯაძე) 71,3 პროცენტით. ამასთან ერთად არიან საუკეთესო პარტორგები, რომელთა მუშაობა სამაგალითოა. თავიანთი აქტიური მუშაობით ისინი სისტემატიურად ასრულებენ გეგმებს. ასეთები არიან **ისმ. ოზოლაძე** (გეგმის შესრ.—120,6 პროც.), **თ. ნანიკაშვილი** (135,7 პროც.), **პ. გვენეტაძე** (114,6 პროც.). კარგად მუშაობენ კომუნისტები: **შ. ფურცხვანიძე, ქ. ბეშკენაძე, ა. ბრეგაძე, მ. არსენიძე** და სხვა.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას პარტიული ძალების განაწილების საკითხი. ამ მხრივ მაღაროების პარტკომს და უჯრედებს დღემდე არ მოუხდენიათ სათანადო გარდატეხა თავიანთ მუშაობაში. არის ზოგიერთი ბრიგადა, სადაც კომუნისტები სულ არ მუშაობენ (მაგ. ა. კუბლაშვილის ბრიგადა).

უდისციპლინო „კომუნისტების“ წინააღმდეგ დღემდე კიდევ არ არის გადამჭრელი ზომები მიღებული. სამრეწველო-საფინანსო გეგმის შეუსრულებლობისა და უდისციპლინო მუშაობისათვის პარტიიდან გარიცხეს **ვ. გვეტაძე, რ. ქასრაშვილი, პ. ჩინჩალაძე** და სხვ.

ელსადგური, რომელიც არ ანათებს

მაღაროების მუშაობის უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენს ელსადგური. ძირითადად მის მუშაობაზე არის დამოკიდებული ნახშირის გამოზიდვა, ტრესტი დღემდე არ ზრუნავს ელსადგურის რეკონსტრუქციისათვის. აღნიშნული ელსადგური წინად აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, როდესაც კიდევ არ იყო მოწყობილი მექანიკური გაგორება და სხვა. დღეს კი, როდესაც საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება ელექტრო ენერგიაზე, იგი 50 პროცენტითაც კი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. ქვაბები და მანქანები დაზიანებულია ისინი უკვე მოძველდენ. საჭიროა ახალი მანქანების შეძენა. ამისათვის კი არც ელექტრო-სადგურის უფროსი ტატულოვი და არ მაღაროების ტრესტი თავს არ იწუხებს. უკვე ორ თვეზე მეტია მუშათა ბინებში სინათლე არ არის. ელექტროენერგიის უქონლობის გამო შეჩერებული და შეფერხებულია მექანიკური გაგორება და სხვა მექანიზირებული სამუშაოები.

ელექტრო სადგურის ასეთი „მუშაობა“ სათანადო გავლენას ახდენს გეგმის შესრულებაზე. დროა ბოლო მოეღოს უპასუხისმგებლობას ელსადგურის მუშაობაში.

საწყობი მოითხოვს სასწრაფოდ განტვირთვას

რკინის გზა ვერ ასწრებს მოჭრილი ნახშირის გაზიდვას, რის გამო მაღაროების საწყობებში დაგროვდა ქვანახშირის დიდი რაოდენობა ამჟამად დაგროვილია დაახლოებით — 18.230 ტონა ქვანახშირი. სტალინის უბანში ორი თვის განმავლობაში გაუწმენდელ ნახშირს გაუჩნდა ცეცხლი. მოსალოდნელია ცეცხლის გაჩენა ლენინის უბანშიც.

საწყობები იმდენად არის გადატვირთული, რომ შეუძლებელი ხდება გამოტანილი ქვანახშირის დაყრა. რკინის გზა მაღაროებს უნდა აწვდიდეს 40—50 ვაგონს. ფაქტიურად აწვდის 25—30 ვაგონს. საჭიროა რკ. გზის 1-ლი რაიონის სამმართველომ მიიღოს გადამჭრელი ზომები დაგროვილი ქვანახშირის უახლოეს დროში გასაზიდათ.

ვისი იქნება გარდამავალი დროშა?

მაღაროების ტრესტმა საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის 8 აპრილის დადგენილების საფუძველზე მოახდინა ინჟინერ-ტექნიკური ძალების გადასროლა ძირა სამუშაოზე. დღემდე ძირა სამუშაოზე სულ გადაყვანილია 10 ინჟ. და 9 ტექნიკოსი (კაციტაძე, ნინაძე, ჭანიშვილი, კაპანაძე, აბულაძე და სხვ.).

ინჟინერ-ტექნიკოსთა ძირა სამუშაოებზე გადაყვანამ და ძირა რგოლის განმტკიცებამ სასურველი შედეგი გამოიღო. უკანასკნელ ხანებში გაიზარდა ქვანახშირის ამოღება. დეკემბერში დღიური დავალება გადაჭარბებით სრულდება. ლენინის უბანში ყველაზე უკეთესად მუშაობს მე-3 ცვლა ამხ. პ. **ნანიკაშვილის** ხელმძღვანელობით. აღნიშნული ცვლა მუდამ გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. ნანიკაშვილი ძველი მუშაა—ლენინის უბნის ყოფილი გამგე, რომელიც 8 აპრილის დადგენილების საფუძველზე გაიგზავნა ძირა სამუშაოზე.

დეკემბერში საბრძოლო დავალებას შეადგენს 20.000 ტონა ქვანახშირის ამოღება. ნოემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდა საწარმოო-ტექნიკური კონფერენცია. კონფერენციაზე დამუშავდა დეკემბრის გეგმა. მუშებმა იკისრეს **მე-17 პარტყრილობის სახელზე ამოიღონ გეგმის გადამეტებით 5000 ტონა ქვანახშირი და დეკემბრის საწარმოო გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ე. ი. 5 დღით ადრე.**

ტყიბულის პარტრაიკომმა დააწესა გარდამავალი წითელი დროშა—იმ უბნისათვის, რომელიც ადრე შეასრულებს გეგმას და უკეთესი მაჩვენებლებით. დროშის მიღებისათვის ბრძოლა ორივე უბანს შორის გაცხოველებით წარმოებს.

გ. მერკვილაძე.

ქვანახშირი

15 დეკემბერს ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 139 პროც.

	ამოღება (ტონობით)		
	დავალება	შესრულება	%
სულ	962	1335	139
მათ შორის:			
ლენინის უბანი . . .	385	608	158
სტალინის უბანი . .	577	727	126

წითელი დაფის კანდიდატი

(ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა)

„პირველ ხუთწლედის პერიოდში ჩვენ შევძელით შეგვექმნა ენტუზიაზმი, ახალი მშენებლობის პათოსი და გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამჟამად ეს აღარ კმარა. ახლა ამ საქმეს ჩვენ უნდა დაუმატოთ ახალი ქარხნების და ახალი ტექნიკის ათვისების ენტუზიაზმი, პათოსი, შრომის ნაყოფიერების სერიოზულად გადიდება, თვითღირებულების სერიოზულად შემცირება. ეს არის ამჟამად მთავარი“.

ასე მკვეთრად ჩამოაყალიბა ამხ. სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებულ პლენუმზე სოციალისტური მრეწველობის საბრძოლო ამოცანები მეორე ხუთწლედში. ტფილისის ბევრმა საწარმომ ბელადის ამ მითითების რეალიზაციისათვის ბრძოლა მეორე ხუთწლედის პირველი წლის დასაწყისიდან გაჩაღა. აქ ჩვენ ვლაპარაკობთ ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხანაზე.

ეს ქარხანა (მაშინ სარემონტო სახელოსნო) მენშევიკების დროს ამზადებდა მექანიკურ ასანთს, კოვზს და სხვა წვრილმან ნივთებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ეს ქარხანა მუშაობს სოციალისტურ საწარმოებისათვის საჭირო იარაღ - მანქანების ნაწილების დამზადებაზე 1932 წლიდან ის ამზადებს ყურძნისა და ჩაის მანქანებს. პირველ ხანებში, როდესაც ქარხანამ დაიწყო ყურძნის საწნეხი და ჩაის მანქანების გამოშვება, მუშაობა ვერ იყო ეფექტიური. ქარხანა ვერ იძლეოდა პროდუქციის გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას. 1933 წ. ქარხნის სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები გაათკეცებული ენერგიით შეუდგენ ახალი მანქანების ათვისებას. გასულ წლების მუშაობის პრაქტიკამ ქარხნის სამკუთხედი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო გადაჭრით გაეუმჯობესებიათ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, რაც მუშათა მუდმივი კადრის შექმნის საწინდარია. პირველი ნაბიჯი, ამ მიმართულებით გადადგმული, წეროვანში საგარეუბნო მეურნეობის მოწყობა იყო (27 ჰექტარზე). რადიკალურად გარდაქმნეს სასადილოს მუშაობა, გააუმჯობესეს კერძის ხარისხი. სასადილო გახდა სამრეწველო - საფინანსო გეგმების შესრულებისათვის მებრძოლ ერთ-ერთ მთავარ საამქროდ. მაგრამ ვერც ეს იყო საკმაო 1933 წლის დავალებათა ბოლშევიკურ შესრულებისათვის, რადგანაც ახალი სამეურნეო წელი უფრო მეტი პასუხისმგებლობით აყენებდა ახალი ტექნიკის დაუფლების საფუძველზე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების საკითხს...

ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქარხნის პარტკოლექტივის ბიუროს მდივანი ამხ. ჩერნიკოვი.

ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქარხნის სამჭედლო სამქროს ზეინკალი, პარტჯგუფორგი ამხ. დომბროვსკი.

ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქარხნის სამჭედლო-სამქროს უფროსი ამხ. ამირანბულოვი.

ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა 1932 წლის დამლევიდან დაიწყეს ცალკე საამქროების შესწავლა იმ მიზნით, რომ შეემუშავებიათ ქარხნის ყველა მუშისათვის ტექნიკური მინიმუმის პროგრამა. ამის შემდეგ ფართოდ გაიშალა ტექნიკური მინიმუმის წრეების მეცადინეობა.

⁂

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის წინაშე დიდი ამოცანებია დასმული. ამიერ-კავკასიაში მას ხვდა წილად მევენახეობისა და ჩაის ფაბრიკების მოწყობილების დამზადება. ეს კარგათ იცის ქარხნის მთელმა კოლექტივმა. არ ყოფილა არც ერთი თვე, რომ ამ ქარხნას გეგმა არ შეესრულებია. თერთმეტი თვის განმავლობაში გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა.

იანვარი	108,8	პროც.
თებერვალი	101,5	„
მარტი	121,8	„
აპრილი	110	„
მაისი	137	„
ივნისი	101,7	„
ივლისი	100.2	„
აგვისტო	101,6	„
სექტემბერი	101.6	„
ოქტომბერი	100.5	„
ნოემბერი	100,7	„

საერთოდ 11 თვის განმავლობაში ქარხანამ სამრეწველო - საფინანსო გეგმა 107,2 პროც. შეასრულა.

გეგმის შესრულების მაჩვენებლები საამაყოა. ქარხანამ ასეთი გამარჯვება მოიპოვა—ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლის მაღალ საფეხურზე აყვანით. მაგალითად, თუ 1932 წ. ქარხანა ყოველთვიურად 10 ცალ წნეხს ამზადებდა, წელს იმავე პირობებში 25—30 ცალამდე ამზადებს. ახალი ტექნიკის ათვისების შედეგია, რომ ქარხნის გეგმები გადაჭარბებით სრულდება. 11 თვის განმავლობაში ყოველთვიურად ერთ მუშას 21 მან. და 89 კაპ. პროდუქცია უნდა გამოემუშავებია, ფაქტიურად გამომუშავება ამ პერიოდში 28 მანეთსა და 8 კაპ. უდრიდა, რაც გეგმის 128,3 პროც. შეადგენს. ქარხანას მიღწევები აქვს თვითღირებულების შემცირების დარგშიც. 11 თვის განმავლობაში თვითღირებულება უნდა შეემცირებიათ 5 პროცენტით, ფაქტიურად შეამცირეს 20 პროცენტით.

განსაკუთრებული მიღწევებია მოპოვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში, ქარხნის სამეურნეო, პარტიულ და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან ერთად, ფართო ბრძოლა აწარმოებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მტკიცე ბრძოლის შედეგია პროდუქციის მაღალი ხარისხი. 11 თვის განმავლობაში ქარხნის მიერ გამოშვებულ 1.597.929 მანეთის პროდუქციიდან წუნდებულია 250,24 მანეთის, ანუ 1,57 პროც. 6 დეკემბერს ქარხნის სამკუთხედმა მოიწვია თათბირი იმ ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტებისა, რომლებსაც უხდებათ ქარხნის მიერ გამოშვებული მანქანების გამოყენება. მომხმარებლებმა მთელი რიგი საქმიანი მითითებები მისცეს ქარხნის კოლექტივს.

ქარხნის მუშათა კოლექტივმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა აიღეს ვალდებულება მე-17 პარტყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით გეგმა ვადამდე შეასრულონ.

ტერ ნაროუშვილი.

ხილბოსტნეულის დამზადებას და დანიშნულებისამებრ გადაზიდვას შეუნელებელი ყურადღება

ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დაწესებული ვადების მიხედვით, ხილბოსტნეულის ცენტრალიზებული დამზადება 15 ნოემბრამდე უნდა დამთავრებულიყო. მიუხედავათ იმისა, რომ აღნიშნული ვადა კარგა ხანია გავიდა, დამზადების გეგმები საქართველოში ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

გეგმის მიხედვით მიმდინარე წელს საქართველოში ცენტრალიზებული წესით უნდა დამზადეს სულ 52.707 ტონა ხილბოსტნეული. ფაქტიურად აქედან 10 დეკემბრისათვის დამზადებული იყო 40.7917 ტონა, რაც შეადგენს გეგმის მხოლოდ 77,4 პროცენტს.

ხილბოსტნეულის დამზადებას საქართველოში ამჟამად აწარმოებს როგორც „ბაღბოსტანკავშირი“. ისე „საქხილბოსტანი“. აფხაზეთის სოფმრეწვი და აფხაზეთის სამომხმარებლო კავშირი („აფკავშირი“) უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორგანიზაციები ვერ უწევენ დამზადების საქმეს სათანადო ოპერატიულ ხელმძღვანელობას. პირველ ყოვლისა სწორედ ამით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ საქართველოს ვერც ერთ რაიონმა ვერ შეასრულა დაწესებულ ვადებში ხილბოსტნეულის დამზადებათა გეგმები.

„ბაღბოსტანკავშირს“ 10 დეკემბრისათვის დამზადების წლიური გეგმა (ხილბოსტნეულის) შესრულებული ჰქონდა 82,8 პროცენტით. (30.707 ტონიდან დამზადებულია 26375 ტონა) აქედან ბოსტნეულის გეგმა 54,1 პროც. კარტოფილის 92,1 პროც. ხილეულის 101,4 პროცენტით.

გეგმების შესრულებაში მნიშვნელოვნად არიან ჩამორჩენილნი „საქხილბოსტანი“ და აფხაზეთის სამომხმარებლო კავშირი. „საქხილბოსტანს“ 10 დეკემბრისათვის დამზადებული ჰქონდა ხილბოსტნეული სულ 65,7 პროცენტი, ხოლო აფხაზეთის სამომხმარებლო კავშირს წლიური გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 48,3 პროც.

ყველაზედ უფრო ჩამორჩენილია კომბოსტოს დამზადება. 10 დეკემბრისათვის საქართველოში 37.000 ცენტნერის ნაცვლად დამზადებული იყო 17.000 ცენტნერი (გეგმის 45.3 პროც.) გეგმის მიხედვით მარტო გორის რაიონში უნდა დამზადებულიყო 15.000 ცენტნერი კომბოსტო (კომბოსტოს დამზადების რესპუბლიკანური გეგმის 40 პროცენტზე მოდის მარტო გორის რაიონზე მაგრამ აღნიშნულ რაიონმა ეს გეგმა 48,1 პროც. შეასრულა. ამავე რიცხვისათვის კომბოსტოს დამზადების გეგმა შესრულებული ჰქონდა ყარაიას რაიონს 10 პროც. წალკის რაიონს 22,6 პროც. ლაგოდეხს 35 პროც. თელავს 10,5 პრ. ეს იმ დროს, როცა კასპის რაიონმა კომბოსტოს დამზადების გეგმა 122,6 პროც. შეასრულა.

შეუსრულებელია აგრეთვე პამიდორის დამზადების გეგმაც. მომარაგების სახალხო კომისარიატის ცნობით, 10 დეკემბრისათვის საქართველოში 97.000 ცენტნერის ნაცვლად დამზადებული იყო 49. 756 ცენტნერი (გეგმის 51,2 პროც.) მთელ რიგ რაიონებში აშკარა გულგრილად ეპყრობიან პამიდორის დამზადების საქმეს. მაგალითად: ლაგოდეხის რაიონს პამიდორის დამზადების გეგმა შესრულებული აქვს 3,6 პროც. ხოლო სენაკის, **ხობის ოზურგეთის, ლანჩხუთის, გურჯაანის** რაიონები და აჭარისტანი სრულიად არ შესდგომიან პამიდორის დამზადებას.

შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ვაშლისა და მსხლის დამზადებაში. ვაშლისა და მსხლის დამზადება „ხილბოსტანკავშირმა“ გადაჭარბებით შეასრულა „საქბაღბოსტანკავშირს“ — კი შესრულებული აქვს 82,3 პროც. იმ რაიონებში, სადაც თავის დროზე გაშალეს კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთაშორის მასობრივი პოლიტიკური მუშაობა, დამზადებათა გეგმები წარმატებით სრულდება. მაგალითად; **ადიგენის რაიონმა 8.000 ცენტნერის ნაცვლად დაამზადა 11.604 ცენტნერი ვაშლი. ტოლოშის რაიონმა გეგმა შეასრულა 110,5 პროც. ხარაგოულმა—131,1 პროც. და ცაგერის რაიონმა 115 პროცენტით.**

მოწინავეთა გვერდით არიან ჩამორჩენილები: მაგ. ოზურგეთის რაიონმა 10.000 ცენტნერის ნაცვლად დაამზადა 4680 ცენტნერი ვაშლი, რაიონის ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ მიიღონ გადამჭრელი ზომები ჩამორჩენის გამოსასწორებლად ვანის რაიონმა გეგმა შეასრულა 21,3 პროც. ლანჩხუთის რაიონმა კი 20,6 პროც.

მწვავე საკითხი, რომელიც ამჟამად სდგას ხილბოსტნეულის დამზადებაში. ეს არის ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა. გეგმის მიხედვით იმ 22.200 ტონიდან, რომელიც ცენტრალიზებული წესით უნდა დამზადდეს საქართველოში, 8.200 ტონა უნდა გაიგზავნოს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში რისთვისაც დამამზადებელ ორგანიზაციებისათვის რკინის გზას უნდა მიეწოდებია იზოთერმიული, ან მშრალი ტვირთის ვაგონები და უნდა მოეწყო ამ უკანასკნელის ხელოვნური გათბობა ხილის დაზიანების თავიდან ასაცილებლად ფაქტიურად რკინის გზამ ეს არ შეასრულა. დამამზადებელ ორგანიზაციებმა ვერ მიიღეს ვერც ერთი იზოთერმიული ვაგონი, ხოლო მშრალი ტვირთის ვაგონებში ფიჩების მოწყობაზე რკინის გზამ უარი განაცხადა, რის გამოც შეუძლებელი ხდება ხილეულის რკინის გზით გაგზავნა.

დამზადებულ ხილეულიდან ამჟამად ძალიან მცირე ნაწილია გაგზავნილი დანიშნულებისამებრ ზღვით.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არ ღებულობენ საჭირო ზომებს დამამზადებელ პუნქტებიდან ხილბოსტნეულის რკინის გზის სადგურებამდე გადმოზიდვისათვის. სამხრეთ-ოსეთში დაგროვილია ხილეულის დიდი რაოდენობა მაგრამ ტრანსპორტის უყოლობის გამო ფერხდება მისი გადაზიდვა გორის რკინის გზის სადგურებამდე.

სოფ. ტყვიავის, მეჯვრისხევის, ტირძნისის და დიცის (გორის რაიონი) მიმღებ პუნქტებში დამზადებულია 500 ტონაზე მეტი ვაშლი, რომელიც მოითხოვს გადაზიდვას. გორის „კონსერვბაღბოსტანტრესტმა“ თავის დროზე დადო ხელშეკრულება „საჭაპანო ტრანსპორტის“ ადგილობრივ განყოფილებასთან მიმღები პუნქტებიდან დამზადებული ხილბოსტნეულის გადმოზიდვაზე, მაგრამ ეს უკანასკნელი თავის დროზე და წესიერად ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა არა მარტო აფერხებს გაგზავნის გეგმების შესრულებას, არამედ მოსალოდნელია ამან გამოიწვიოს დამზადებული ხილეულის დაზიანება და გაფუჭება, თუ დაჩქარებით არ იქნა მიღებული საჭირო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

დრო არ ითმენს. ხილბოსტნეულის დამზადების ვადები კარგა ხანია ამოიწურა. გეგმები კი ჯერაც შეუსრულებელია. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ დამზადებათა ტემპები, მიიღონ ყოველგვარი ზომები სპეკულიანტებისა და გადამყიდველების წინააღმდეგ, გასტეხონ კულაკური საბოტაჟი, ფართოდ გაშალონ მასობრივი პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა შორის და უზრუნველყონ ხილბოსტნეულის დამზადების გადაგზავნის გეგმების უმოკლეს ვადაში შესრულება.

ტ. აცანელი.

ოღლის, მაგრამ თახსინმა ერთი კუშტად გადმოხედა ჯემალ-ბეგს, დაწკურული თვალებით რამდენჯერმე შეათვალიერა გუშინდელი მემამულე და პირი გვერდზე მიიბრუნა.

— მებუტები?! ოჯახი დამიქციე და კიდევ შენ მებუტები?! — აბორძიკდა ჯემალი და იქვე ტელეგრაფის ბოძს მიეყრდნო. — ეგ რა მიყვეს? ნუ თუ მართლა ასეთია სოფლის საბჭოს დადგენილება?! კოლექტივი... აჭარისტანში კოლექტივი?! ურეხი მთლიან კოლექტივიზაციაზე... ალლაჰ! ნუ გამაგიჟე ამ სიბერის ჟამს!!! მეორედ მოსვლას ნუ შემასწარი!?

ჯემალ-ბეგს ჯერ კიდევ არ სჯეროდა ეზო-მამულის ჩამორთმევის ამბავი. შეშფოთებული კი იყო, მაგრამ თავისას ვერ გაიტანდა. აღარ ეგონა.

„წავალ და ხუთუ ამ საქმეს ვერ გავაჭახრაკებ?“.

წასვლით მაინც წავიდა. ვინც უნდოდა ინახულა. ყიილას გააცნო თავისი „ჭირ-ვარამი“, მაგრამ... ეზო მამული, ვერ იქნა, ვერ დაიბრუნა.

გულგასიებული დაბრუნდა უკან ჯემალ-ბეგი და ლურჯად შეფერილი ჭიშკარი შეაღო. ეზოში შევიდა და პირველად თავის სიცოცხლეში ჭიშკარი ღია დატოვა.

ჯემალმა მანდარინის ნაშენი გაიარა და აყვავებულ ფორთოხლებს გადახედა. მორზე ჩამოჯდა, კვირტებწამოზრდილი ხეხილი ჩაათვალიერა.

დიდხანს უყურა ჯემალმა აყვავებულსა და გაზაფხულის სუნით აჟრიამულებულ არე-მარეს. ფეხზე წამოდგა. სისხლიანი თვალები გადაავლო საკუთარ ეზო-მამულს და სასოწარკვეთით ამოიხრიალა. ჩაიქეცი და ჩაპალიასტომდი აქაურობა... სოდომ-გომორად — ჩემი ურგები დო უსარგებლო.

ჯემალს წყევლაზე გული ეტკინა. მას კიდევ ვერ წარმოედგინა, თუ მართლა უნდა გამოთხოვებოდა სხვისი ოფლით შეძენილ, მაგრამ მის საკუთრებად მიჩნეულ ეზო-მიდამოს, და კერძო საკუთრების ჟინით ამოლოტებულს გული მოეწვა... არა... ნუთუ მართლა ჩამომართვეს?! ნუ თუ თახსინ ლეზგიოღლი, ფერინე და მაგ თი მზგავსი უნიფხო აჭარლები დაეპატრონებიან ჩემს მამა-პაპეულ მიწა-წყალს?! ნუ თუ მართლა აღარ ვარ მე ჯემალ-ბეგი და წინანდებურად აღარა აქვს განმავლობის სიტყვა-პასუხი?! ჰეი და... თახსინ ლეზგი-ოღლი! მამაშენს, ჯელლობაში სამი ქალიშვილი მოვტაცე (მოვტაცე კი არა თავისი ფეხით მოვაყვანიე!) დურსუნ ლეზგიოღლის სალოლე წავართვი და დაორსულებული სტამბოლს გავგზავნე. ხუსეინს საოძლო წავართვი და ვინ მოსთვლის რამდენი რა არ შევირჩინე ამ ცოდვილ ქვეყანაზე... ახლა თახსინ და ფერინე მეჯიბრება... თახსინ ლეზგიოღლი სამაგიეროს გადახდას მიპირებს... სისხლის აღებას ფიქრობს საგვარეულო სისხლისა და სირცხვილის ჩამორეცხას. აბაიმე, თახსინ ლეზგიოღლი! დახე, ცხოვრებამ როგორ გაგიმართლა! ჩემი და ჩემი სისხლის მქონეთა მზე რომ ესვენებოდა, ამას კარგა ხანია ვამჩნევდი, მაგრამ ჩემი მზის ჩასვენება თუ შენი და შენისთანების განთიადის მოახლოებას ნიშნავდა, ეს როდი მეგონა?! რა მწარედ მოვტყუვდი?!

შინ მიმავალმა ჯემალმა თახსინს მოკრა თვალი და გაბოროტებულს სისხლი თავში აუვარდა... „უფროსი არა ვარ, მაგრამ მონაწილე ვარ“.— მოაგონდა ჯემალ-ბეგს თახსინის სიტყვები... „მონაწილე კი არა, ჩემი ოჯახის ბატონ-პატრონი გახდა... საცხოვრებელზე ხელი ამაღებია! ალლაჰ!—დაიგმინა ჯემალმა, აელვარებულ ქობულეთურ ბებუთს სისხლიანი თვალებით დახედა და თახსინისაკენ გაექანა.

ჩქარი ფეხის ხმა გრგვინვად ჩაიღეწა მიდუმებულ ბაღნარში და შეკრთოლებულმა თახსინმა, ბუჩქებს შუა თვალი შეავლო გაალმასებულ ჯემალის უჩვეულო ნაბიჯებს.

— ჩემსკენ მოიწევს .. — გაუელვა თახსინს და როცა დორბლმორეულ ჯემალის ხელში აელვარებული ბებუთიც დაინახა, თავდასაცავად ნავანი იშიშვლა...

— სწორედ აქ შევეჩეხეთ ერთმანეთს. — მოაგონდა კარავისაკენ მიმავალ ლეზგიოღლის და ნავანის ტავიით შეტკეჩილ ფორთოხლის ბუჩქს დააკვირდა. — ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ და დახე, რამდენი რა შეტრიალდა ჩვენს ცხოვრებაში... მიდამოებმაც კი ფერი იცვალეს... ახო და ბუჩქნარი ნაშენს შეუერთდა... ნამეხარი და წკვარამები სატრაქტოროდ გახდა, მაგრამ... ოთხი წლის ნატყვიარი, ისევ შეუხორცებელი დარჩა.

თახსინ ნატყვიარს მიუახლოვდა დაფოტრილი შენატკეჩი დანის წვერით ამოფხიკა, თითქოს დოსტაქარმა ჭრილობა შეასუფთავა, წყლული ჭინჭიბურით შეგლისა და გარედან მარმაშის ნაცვლად, უბრალო ჩვარი შემოახვია. — თახსინ, ა თახსინ! კვლავ მოესმა ლეზგიოღლის მეზობელ რეჯების ხმა და თახსინმა აჩქარებული ნაბიჯით იქითკენ გასწია, სადაც მას რახანია ურეხელი კოლექტიველები ელოდებოდენ...

ხვავი დამდგარა უზარმაზარ ფარდულში. თავისუფალი ადგილი არსად ჩანს მოკრეფილის მოსახვავებლად.

, თახსინ მეზობლებს მიესალმა.

მოწიწებით უპასუხეს დამხვდურებმაც და პირდაპირ საქმეზე გადავიდეს

— ფარდული არ გვყოფნის თახსინ! ვიღაცას გაზეთშიც ჩაუგდიყართ. — არ დააყოვნა რეჯებ დევიძემ და „საბჭოთა აჭარისტანის“ ერთ-ერთი ნომერი თახსინს გაუწოდა.

თახსინ წამოჭარხალდა გაზეთში „ჩაგდების“ გაგონებაზე, ნერვიულად ჩაათვალიერა მუშკორის შენიშვნა და დამშვიდებით წამოიძახა. თუ მეტი არაფერია, ფარდულის აშენებას როგორ ვერ მოვასწრებთ გეგმით გათვალისწინებულ ვადამდე... მართალია, ამჟამად ჩამორჩენილი ვართ, მაგრამ.. ერთი ჩვენებური, საერთო იერიში და ფარდულიც მზად იქნება!

გავიდეთ ფორთოხლის საკრეფად.

თახსინმაც მიიდგა გოდორი დაკუნწლულ ფორთოხლის ძირში და კიბეზე შედგა. ამაყად გადმოსწია ლეზგი-ოღლიმ ნაყოფის სიმძიმისაგან მორცხვ პატარძალივით თავჩაქინდრული ტოტი, მკლავზე სატრფოსავით გადაიწვინა და მეტისმეტ კმაყოფილებისაგან გაბრწყინებული თვალებით დასაწყვეტად გამზადებულ ფორთოხლებს დააშტერდა.

„რა შეუმჩნევლად მიჰქრის დრო და ჟამი,—ფიქრობს ლეზგი ოღლი —ჯემალმა რომ „შეილობილად“ ამიყვანა იმ წლის მარტშია ჩაყრილი ეს ბუჩქები. რვა-ცხრა წლის მანძილზე ისინი უკვე ჩემზე მაღალნი და ნაყოფის მომცემნი შეიქნენ... ორი ჰექტარი მანდარინ-ფორთოხლის ბაღი ჩემი საკუთარი ხელებით გავაშენე ჯემალის ეზოში... ჯემალი თავიდანვე შეძლებული მემამულე იყო, მაგრამ ციტრუსებს არ ეტანებოდა. მე რომ მის ოჯახში ფეხი შევდგი, სულ ორასი ძირი ფორთოხალ-მანდარინი თუ იქნებოდა დარგული.. სულ ჩემი ხელით ნამყენი და გადარგულია, რაც ჯემალის ეზოში მიდამოზე ციტრუსები და ხეხილნარი ჩაიბარა კოლექტივმა. ამას მიუმატე კოლექტივის 7 ჰექტარი ციტრუსები, რომელმაც სათითაოდ ჩემს ხელში გაიარა... მე ვეძახდი მათ „შვილია“, გადი და ძიძა-გამზრდელი... თვითეულ ბუჩქს თვალის ჩინივით უვლიდი და“...

მკრეფელთა შორის ვიღაცამ ტოტი მოსტეხა და ხმაურობაზე თახსინიც გამოფხიზლდა...

კოლმეურნე ზეინაბს ფორთოხლებით წელგაზნექილი ტოტი გადმოეწია და... მოულოდნელად ვად მოეტეხა კიდეც...

თახსინ გაწყრა... კოლექტიველები და პირადათ ზეინაბი ღანძღვით აიკლო.

— გულშეუტკივარი ხართ... არ გენანებათ სხვისი ხელით ნარგავნაზარდი... ის კი არ იცით, რომ ყოველ ტოტის ასე უმიზეზოდ მომტვრევით უთვალავ ზარალს ვაძლევთ ჩვენს არტელს და სახელმწიფოსაც. წელს რომ ტოტებს დაამტვრევ, გაისად ნაყოფი რამ მოისხას?

ყველამ ხმა გაკმინდა... ვერც ზეინაბმა გაბედა თავის მართლება.

— ჯემალის მამულში კი არ ხართ.— განაგრძობდა თახსინ ლეზგიოღლი — საკუთარ ბაღს ასე ველურად როგორ უნდა მოეპყრათ?! კაცის ხელით ნამუშევარი, ძალად რად უნდა გააოხრო?!

ორღობეში ჯემალმა ჩაიარა და თახსინის ბრაზიან სიტყვებს რომ ყური მოჰკრა, ღვარძლით ამოიგმინა: დახე, ჩემს მამაპაპისეულ ეზო-მამულზე როგორ სოლომონ ბრძენობს... ტოტის მომტვრევასაც კი სიფრთხილით ეპყრობიან... გაგიწყდეთ ფესვი და იადგარი... უნიფხოებო!

ჯემალმა მისდა უნებურად წინ დაიხედა. გარღვეულ შარვალს თვალი გადაავლო და ბრაზით წაიბურდღუნა: სიმართლე თუ გნებავს, ნამდვილი უნიფხო დღეს მე გახლავარ!

— თახსინ, ფარდული გაივსო!— მოიტანა ვიღაცამ ამბავი.

—აი დაგეფსოს სამზერი თვალები.—დასტოვა ჯემალმა უკანასკნელი წყევლა-კრულვა და შუკას მიეფარა..

საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის მორიგი გამარჯვება

იტალია-საბჭოთა კავშირის პაქტი

მოსკოვი, 17 დეკემბერი „იზვესტია" 16 დეკემბერს წერილში სათაურით „იტალია-საბჭოთა კავშირის პაქტი" წერს:

„საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის და იტალიის ელჩის — ატოლიკოს მიერ 15 დეკემბერს სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლის შედეგად, იტალია-საბჭოთა კავშირის პაქტი მეგობრობის, თავდაუსხმელობის და ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იქნა რომში 2 სექტემბერს, საბოლოოდ შევიდა ძალაში. ამრიგად, თავდაუსხმელობის ორმხრივი პაქტების ჯაჭვი, რომლებიც საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს, საბოლოოდ განმტკიცდა კიდევ ერთი ახალი რგოლით. ამ ფაქტს, როგორც საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ყოველგვარ მიღწევას, ღრმა კმაყოფილებით შეხვდა არა მარტო საბჭოთა საზოგადოებრიობა, არამედ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობიანობის საქმე.

მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ამ პოლიტიკის შედეგად, რომელსაც საბჭოთა კავშირი 5 წლის მანძილზე მაქსიმალური შეუპოვრობით თანამიმდევრობით სიმტკიცით და სიდინჯით აწარმოებს, დღეისათვის საბჭოთა კავშირს თავდაუსხმელობის პაქტები დადებული აქვს ევროპის ყველა უდიდეს სახელმწიფოსთან, მარტო დიდი ბრიტანეთის გამოკლებით. ყველამ, ვისაც შეუძლია მიუდგომლად იმსჯელოს უკანასკნელი წლების საერთაშორისო ცხოვრების მოვლენათა განვითარების შესახებ, უნდა აღიაროს, რომ იმ უაღრესად გამწვავებულ ატმოსფეროში, რომელიც სულ სხვადასხვა წინააღმდეგობის ზეგავლენით შექმნილია ევროპასა და მთელს მსოფლიოში, თავდაუსხმელობის საბჭოთა პაქტები წარმოადგენენ მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვან ფაქტორს, ამ ბრძოლის საუცილებლო ნაწილს.

იტალია-საბჭოთა კავშირის პაქტის საბოლოო გაფორმება, რომელიც, სოციალურ პოლიტიკური სისტემების რადიკალური წინააღმდეგობის მიუხედავად, ამტკიცებს ორ ქვეყანას შორის არსებულ ნორმალურ ურთიერთობას, ერთხელ კიდევ აგონებს იმათ, ვისაც ეს დღემდის ვერ გაუგია, რომ თავის სამშვიდობო პოლიტიკის ერთგულს საბჭოთა კავშირს შეუძლია დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა და იგი ფაქტიურად კიდევ ამყარებს მას ყოველ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან. შინაპოლიტიკური რეჟიმის ამა თუ იმ თავისებურებისაგან დამოუკიდებლად თუ ეს სახელმწიფო მტკიცედ იცავს „შინაურ საქმეებში ჩაურევლობის" იმ პრინციპს, რომელსაც თავის მხრივ საბჭოთა კავშირი ახორციელებს. ეს არის ერთ-ერთი მრავალი სასარგებლო გაკვეთილიდან, რომელთა მიღებაც შეიძლება იტალია-საბჭოთა კავშირს შორის 13 წლის მანძილზე არსებული ურთიერთობის ისტორიიდან" (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმება

მოსკოვი, 16 დეკემბერი. 10 დეკემბერს თეირანში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. შოსტაკს და სპარსეთის სავაჭრო უწყების ხელმძღვანელს შორის, ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება ვაჭრობის საკითხებზე. ამასთან მოხდა იმ წერილების გაცვლა-გამოცვლა, რომლებიც აზუსტებენ საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის მომქმედ სავაჭრო კონვენციის მთელ რიგ პუნქტებს.

ამით მთავრდება ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის საკითხებზე არსებული უთანხმოების ხანგრძლივი პერიოდი. კერძოდ, მიღწეულ იქნა შეთანხმება ისეთ დიდ, დღემდის სადაო საკითხებზე, როგორიცაა სპარსეთ - საბჭოთა კავშირის საქონლის ბრუნვის შეფასება, მისი გამოანგარიშების წესი და სხვ. (ადს).

გადადგა ესპანეთის მთავრობა

პარიზი, 16 დეკემბერი. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, გადადგა ბარიოსის მთავრობა ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა რადიკალების ბელადს — ლერუსს (ადს).

ფუძიანის ახალი მთავრობის მანიფესტი

შანხაი, 16 დეკემბერი. გონკონგის გაზეთი „ჩაინა მორნინგ პოსტი" აქვეყნებს ფუძიანის „სახალხო-რევოლუციური" მთავრობის მანიფესტის ტექსტს. მანიფესტში აღნიშნულია, რომ ჩინეთის ხალხი მოითხოვს იაპონიისათვის წინააღმდეგობის გაწევას და რომ ჩანკაიში ანგარიშს არ უწევს ამ მოთხოვნილებას წმინდა პირადი პოლიტიკის მოსაზრებით.

მანიფესტი ამტკიცებს, რომ ჩინეთის რეალური ხელისუფლება დაფუძნებული უნდა იქნას ნაციონალურ საფუძველზე და რომ ამას უპასუხებს „სახალხო-რევოლუციური" მთავრობა. ამ მანიფესტის დემაგოგიური ხასიათი სავსებით ცხადია და ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ „სახალხო რევოლუციური" მთავრობის თავმჯდომარე გაემგზავრა ტოკიოში იაპონიის იმპერიალისტებთან შეთანხმებისათვის (ადს).

დამზადებათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჩერნოვი სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების შესახებ

მოსკოვი, 17 დეკემბერი. ეხება პურის ჩაბარების ფრონტზე პარტიის მიერ მოპოვებულ გიგანტურ გამარჯვების მიზეზებს, დამზადებათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჩერნოვი ვრცელ სტატიაში, აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი წლების განმავლობაში პირველად ყველა რესპუბლიკამ, ყველა ოლქმა და ყველა მხარემ ვადამდე შეასრულეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ მათთვის დაწესებული პურის ჩაბარების წლიური გეგმა. ამასთანავე ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ შესრულებულ იქნა რაიმე მასობრივი რეპრესიების მიღების გარეშე.

„მიმდინარე წლის პურის კამპანიის ეს თავისებურებანი, — წერს ამხ. ჩერნოვი — მოწმობს ძირითად გარდატეხას კოლმეურნეთა განწყობილობაში და სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ეხება რა პურით ვაჭრობას, ამხ. ჩერნოვი კიდევ და კიდევ ხაზს უსვამს პურის ჩაბარების შესახებ კანონის ურყევობას. „პურის გაყიდვა, — წერს ის,— შეიძლება მხოლოდ ნებაყოფილობითი იყოს. კოოპერაციის მიერ პურის შესყიდვას არაფერი საერთო არა აქვს ხორბლეულის ჩაბარებასთან.

როგორიც არ უნდა იყოს დავალებები ან გეგმები პურის გაყიდვის შესახებ კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობებისათვის, ისინი განხილული იქნება, როგორც შემხვედრი გეგმები, ხოლო ამაში დამნაშავენი — მიცემული იქნებიან სისხლისსამართლის პასუხისგებაში.. მიმდინარე წელს კოლმეურნის მიერ გამომუშავებული მთელი პური ნამდვილად გახდა კოლმეურნის საკუთრება, არავის, მათ შორის კოლმეურნეობის გამგეობასაც არ შეუძლია მოახმაროს რაიმე დანიშნულებას, თუნდა მისი როგორც თესლის გამოყენებას" (ადს).

მარგანეცი

14 დეკემბერი: მარგანეცის ამოღების გეგმა შესრულდა 85,4 პროც. გარეცხვის—75 პროც.

	ამოღება (ტონობ)			გარეცხვა (ტონობ.)		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
ს უ ლ	4.316	3685	85,4	2.169	1.618	75

საბჭოთა კავშირში

30 წლისთავი აეროპლანების პირველი გაფრენის დღიდან.

მოსკოვი, 16 დეკემბერი. 17 დეკემბერს სრულდება 30 წელი აეროპლანით პირველი გაფრენის დღიდან, რომელიც ჩაატარეს აეროპლანის ამერიკელმა გამომგონებლებმა — ძმებმა ვილბურ და ორვილ რაიტებმა.

ძმები რაიტები, რომლებიც მუშაობდნენ ველოსიპედების სახელოსნოში, დაინტერესდნენ ოტტო ლილიენტალის მიერ, 1893 წელს პლანერით წარმატებით ჩატარებული გაფრენით და შეუდგნენ ჰაერზე მძიმე მოტორიანი აპარატის გამოგონებას. 1903 წლის 17 დეკემბერს მათ მოახდინეს პირველი გაფრენა, რომელიც 53 წამს გაგრძელდა. აეროპლანი გაფრინდა 260 მეტრზე.

უფროსი ძმა ვილბურ რაიტი გარდაიცვალა 1912 წელს, მეორე — ორვილ რაიტი ცხოვრობს ქ. დაიტონში (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები). ის 62 წლისაა და კვლავინდებურად აქტიურ მონაწილეობას იღებს ავიაციის საკითხებში.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უფროსმა ამხ. უნშლიხტმა აეროპლანით პირველი გაფრენის 30 წლისთავთან დაკავშირებით ორვილ რაიტს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა (ადს).

ბამბის ჩაბარება საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი, 16 აგვისტო. 10 დეკემბრისათვის მთელ საბჭოთა კავშირში დამამზადებელ პუნქტებზე ჩაბარებულია 1215 ათასი ტონა ბამბა, ე. ი. 127,538 ტონით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა კავშირის მებამბეობის ძირითადმა ბაზამ—საბჭოთა კავშირმა. 10 დეკემბრისათვის უზბეკისტანში ჩაბარებულია 794,624 ტონა — წლიური გეგმის 99 პროცენტი. შუა აზიის დანარჩენ რესპუბლიკებში, რომლებმაც 92—93 პროცენტით შეასრულეს წლიური გეგმა, ბამბის ჩაბარების ტემპები გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე გასულ წლებში (ადს).

საანაბარო ოპერაციების ახალი სისტემა

მოსკოვი, 16 დეკემბერი. საკავშირო ფინსახკომის შემნახველ სალაროების და სახელმწიფო კრედიტის მთავარი სამმართველო იაროსლავლში ატარებს საანაბარო ოპერაციების იმ ახალი სისტემის გამოცდილებას, რაც საშუალებას აძლევს მეანაბარეს შეიტანოს და მიიღოს ფული შემნახველ სალაროს წიგნაკით ქალაქის ყველა სალაროში. ოპერაციებს აწარმოებს ერთი მუშაკი. განზრახულია ასეთი გარდაქმნა პირველად ჩატარდეს უდიდეს პუნქტებში, ხოლო შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ყველა რაიონში (ადს).

შეჯიბრება მემანქანეებისათვის საგზურების ჩაბარებაზე

მოსკოვი, 16 დეკემბერი. ისინოვატის რაიონის (ეკატერინეს რკინის გზა) პოლიტგანყოფილებამ მოაწყო შეჯიბრება მემანქანეებისათვის პოლიტგანყოფილებათა საგზურების ჩაბარებაზე. საგზური ეძლევა მხოლოდ იმას, ვინც შეასრულა გარბენის ნორმა. გრიშინოს დეპოს 11 მემანქანემ უკვე დაიმსახურა საგზურები. მარიუპოლის კვანძის მოწინავე მემანქანეებმა, პოლიტგანყოფილების წინადადებით, იკისრეს ჩამორჩენილი ორთქლმავლების შეფობა (ადს).

მზადება საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობისათვის

მოსკოვი, 16 დეკემბერი. პარტყრილობისათვის მზადებაში ებმებიან მშრომელთა ახალი მასები.

დონბასის მაღაროელები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ მოიპოვონ პარტყრილობის მოწინავეთა „წითელ წიგნში" შეტანის უფლება. კრასნოდონსკის სამთო სამმართველოს მაღაროს კოლექტივმა წითელ წიგნში შესატანად წამოაყენა 25 საუკეთესო მაღაროელ, მათ შორის: მაღაროს მთავარი ინჟინერი კომუნისტი ამხ. ბუნეევი, საუკეთესო უბნების უფროსები—ინჟინერი გოლუბჩინი, მნგრეველი შჩარპოვი (შრომის გმირი, დაჯილდოვებული შრომის წითელი დროშის ორდენით), მნგრეველი ოვჩინიკოვი და სხვ. (ადს).

საგაზაფხულო კულტურების ბიონიტიზაციის ცდები.

დნეპროპეტროვსკი, 16 დეკემბერი. მომავალი წლის გაზაფხულზე დნეპროპეტროვსკის ოლქში 22 ათას ჰექტარ ფართობზე ჩატარებული იქნება საგაზაფხულო კულტურების ნათესების ბიონიტიზაციის ცდები.

ბიონიტიზაცია მდგომარეობს იმაში, რომ ზეგავლენა მოახდინონ თესლზე ქიმიური პრეპარატებით, რომლებიც იწვევენ მცენარის გაძლიერებულ ზრდას, ადიდებენ ფესვების სიმძლავრეს. წელს ყირიმში ბიონიტიზირებული თესლით დათესილმა ნათესებმა, ჩვეულებრივ ნათესებთან შედარებით მოგვცა მოსავლის ზრდა 15—20 პროცენტით. ბიონიზაციის ტექნიკა თითქმის არაფრით არ განსხვავდება თესლის ჩვეულებრივი შეწამვლის ტექნიკისაგან (ადს).

პარტიის მე-17 ყრილობის სახელობის საფინანსო ლაშქრობა

მოსკოვი, 16 დეკემბერი. საბჭოთა კავშირში ფართოდ გაიშალა ბოლშევიკური პარტიის მე-17 ყრილობის სახელობის საფინანსო ლაშქრობა. სწარმოებს ბრძოლა იმისათვის, რომ მთლიანად და ვადამდე იქნას შესრულებული საფინანსო გეგმა.

ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში მოეწყო ყრილობის სახელობის ლაშქრობის სპეციალური შტაბები. დონის როსტოვის პროლეტარებმა გამოაცხადეს, რომ კისრულობენ შეასრულონ იანვრის საფინანსო გეგმა 25 იანვრისათვის — საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის გახსნის დღისათვის. ჩრდილოეთ კავკასიის ჩამორჩენილ რაიონებში გაემგზავრენ სპეციალური ბრიგადები, რომელთა უმრავლესობა კომკავშირელებისაგან შესდგება.

გორლოვის რაიონის დამკვრელთა გაფართოებულმა შეკრებამ ქვანახშირის 530 საუკეთესო მუშის, ქიმიკოსის, მანქანათმშენებლობის და კოლმეურნეთა მონაწილეობით იკისრა 20 დეკემბრისათვის ვადამდე შეასრულონ მე-4 კვარტალის საფინანსო გეგმა, ხოლო ყრილობის გახსნის დღისათვის — კი იანვრის გეგმა (ადს).

35 სამგზავრო მანქანა პერსონალურად დასაჯილდოვებლად

ხარკოვი, 16 დეკემბერი. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით გამოყოფილია 35 სამგზავრო მანქანა. ამ მანქანებით პერსონალურად იქნებიან დაჯილდოვებული სამხრეთის მეტალურგიული ქარხნების საუკეთესო სპეციალისტები, რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი მეტალურგთა საკავშირო კონკურსში (ადს).

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი თბოელექტროცენტრალი ქიმკომბინატში ბერეზნიკის

ფულადი სახსრების მობილიზაციის წლიური გეგმა

ამიერ-კავკასიაში შესრულებულია ვადამდე

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანს—ამხ. ბერიას

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს — ამხ. მუსაბეკოვს

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ნაცადი და მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, ფართოდ გაშლილი მასობრივ - პოლიტიკური მუშაობის შედეგად, მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის 1933 წლის გეგმა შესრულებულია ამიერ-კავკასიაში ვადამდე 10 დეკემბრისათვის 103,2 პროცენტით. აქედან საქართველოში—106,7 პროცენტით, სომხეთში —103,1 პროცენტით და აზერბეიჯანში—100,2 პროცენტით, აბსოლუტურ ციფრებში სულ შეგროვილია 389 მილიონი მანეთი გეგმით გათვალისწინებული 377 მილიონი მანეთის ნაცვლად.

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ფინსახკომის მოადგილე **ხუმარიანი.**

საქმით მიბაძეთ მოწინავეებს

საკავშირო საფინანსო წითელ დაფაზე მოხვედრის უფლებას მოიპოვებს მხოლოდ ის რაიონი, საკ. საბჭო, კოლმეურნეობა, რომელიც წელიწადიდან დეკადაში სისტემატიურად ასრულებს ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმას, მტკიცედ იცავს საფინანსო დისციპლინას, კლასობრივ ხაზს და რევოლუციურ კანონიერებას. ვინც ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს იგი საკავშირო საფინანსო წითელ დაფაზე ვერ მოხვდება

ბრძოლა ამ უფლების მოპოვებისათვის გრძელდება მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალშიაც.

ფოთის რაიონმა, რომელიც წარმატებით იბრძვის საკავშირო წითელ დაფაზე მოხვედრის უფლების მოპოვებისათვის, მეოთხე კვარტალის დამლევს იკისრა ვალდებულება, რომ მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმას (მეოთხე კვარტალისას) 15 დეკემბრამდე, ხოლო განსაზოგადოებული სექტორის გადასახადებისას 1 იანვრამდე შეასრულებს და ამ პირობებით სოცშეჯიბრებაში გამოიწვია საქართველოს ყველა რაიონები.

გამოწვევა რაიონების უმეტესმა ნაწილმა მიიღო, მაგრამ, ზოგიერთი რაიონს სათანადო ტემპებით არ გაუშლია მუშაობა და ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის მიჩქმალვის მიზნით გზავნის პატაკებს, რომ მან უკვე შეასრულა წლიური საფინანსო გეგმა. ფაქტიურად წლიური საფინანსო გეგმის შესრულება მოდის წინა კვარტალების გეგმათა გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე მეოთხე კვარტალის გეგმა კი ჯერ მათ შესრულებული არა აქვთ.

ქვემოთ ვათავსებთ იმ რაიონებს, რომლებმაც ნამდვილად შეასრულეს ფოთის გამოწვევასთან ნაკისრი ვალდებულებები, მეოთხე კვარტალის გეგმა (მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციისა) ვადამდე შეასრულეს და საქმით იბრძვიან საკავშირო საფინანსო წითელ დაფაზე მოხვედრის უფლებისათვის.

რ ა ი ო ნ ი	მეოთხე კვარტალში უნდა აეკრიფა	აკრიფა 1 ოქტომბრიდან 15 დეკემბ.	გეგმის შესრულება %%-ში
ფოთის რაიონი	366.000	450.000	122,9
სიღნაღის	1.346.000	1.363.000	101,2
ლაგოდეხის	883.000	914.000	109,7
ყვარელის	879.000	899.000	102.2
ახალციხის	597.000	751.000	125,8
ადიგენის	361.000	421.000	116,6
ტყიბულის	370.000	374.000	101
ხარაგოულის	340.000	348.000	100,8
ოზურგეთის	592.000	606.000	102,5
ლანჩხუთის	405.000	425.000	100,4

ხელოვნება

მოძრავი ქართული დრამატიული თეატრი

დრამატურგ შ. დადიანის ხელმძღვანელობით ტფილისში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ქართული მოძრავი თეატრი. დასის შემადგენლობაში შედიან მსახიობები: ლ. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, შ. დადიანი, ვ. გუნია და სხვ. თეატრი მომსახურეობას გაუწევს რკინის გზის ხაზს და მცირე ქალაქებს, რომელთაც არა აქვთ თავისი თეატრი.

ამჟამად მზადდება შ. დადიანის კომედია „ენუქა ანდერძი", ვასო გოძიაშვილის დადგმით.

ორი კვირის შემდეგ თეატრი იწყებს მუშაობას და მიემგზავრება გორში.

„ურიელ აკოსტა"-ს მე-100 წარმოდგენა

ამ დღეებში მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შესდგება გუცკოვის პიესის „ურიელ აკოსტას" მე-100 საიუბილეო წარმოდგენა. კ. მარჯანიშვილის დადგმით და პ. ოცხელის მხატვრული გაფორმებით..

ადმინისტრატიული სამმართველო ხარჯთაღრიცხვების შესრულების მხრივ

სახელმწიფო დაწესებულებათა შემოწმების ჩატარების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის პრეზიდიუმის და საქ. ალკკ-ის ც. კ-ის 1933 წლის 16 დეკემბრის დადგენილება

1. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის, საქ. ალკკ-ის ც. კ-ის და ამიერ-კავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისია - მუშგლეხინის დადგენილებათა განსახორციელებლად ჩატარდეს საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის და ქ. ტფილისის 60 დაწესებულებასა და ორგანიზაციაში სახელმწიფო, სამეურნეო, სავაჭრო და კოოპერატიული დაწესებულებების და ორგანიზაციების მასობრივი შემოწმება ხელფასის ფონდების ხარჯვის და დაწესებული შტატების დაცვის საკითხებზე.

2. წინადადება მიეცეს ამხ. ცხადაიას და საქართველოს მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის საბჭოთა ჯგუფს (სანაძე) აღნიშნული შემოწმების ჩატარების დროს ჩააბან ამ საქმეში „მსუბუქი კავალერიის", პროფაქტივის, საშეფო ბრიგადების ფართო მასები, ტფილისის საბჭოს და რაისაბჭოების მუშგლეხინის სექციების წევრები.

3. შემოწმების შედეგები მოსმენილ იქნას საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და საქართველოს ალკკ-ის ც. კ-ის ბიუროს სხდომაზე.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის, აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის საოლქო საკონტროლო კომისია - მუშგლეხინებს და ქუთაისის საქალაქო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს ჩაატარონ ანალოგიური შემოწმება კომკავშირის კომიტეტებთან ერთად, პროფკავშირების მონაწილეობით.

5. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის და საქართველოს მუშგლეხინის სახალხო კომისრის

მაგიერ — **მეზრელიშვილი:**

საქ. ალკკ-ის ც. კ-ის მდივანი

გიორგობიანი.

ქ რ ო ნ ი კ ა

აკად. ნ. მარის [illegible]

19 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე [illegible] კაბინეტში, ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით მოწვეულია აკად. ნ. მარის იუბილეს ჩამტარებელი კომიტეტის სხდომა.

სხდომაზე მოწვეული არიან: ამხ. ე. ბედია, კ. ორაგველიძე, ლ. აღნიაშვილი, სტ. აკოპოვი, გ. გიორგობიანი, ა. გეგენავა, ფირუმოვი, პიჩიანი (საკ. სამეცნიერო აკადემიის ამიერ-კავკ. ფილიალი), მ. ტოროშელიძე, ვ. მეტრეველი (საქ. ა.ლ.კ.კ. ც.კ-ა), პროფესორი ი. ბერიტაშვილი, პროფ. ნ. მუსხელიშვილი, პროფ. ლ. მელიქსეთბეგი, დოცენტი დ. კარბელაშვილი, ნ. კიკნაძე, კ. დონდუა, პროფ. შანიძე, აკ. შუნია, ნიორაძე, გ. ხაჭაპურიძე, მ. ჯავახიშვილი, გულოიანი, შ. გეგენავა, ალ. ერქომაიშვილი, კ. ქაცარავა და აკად. ნ. მარის ასპირანტები ამხ. მ. ჩხენკელი, ალ. ღლონტი და მ. ჩიქოვანი.

ახალი სკოლები პიონერ-მუშაკთათვის

ტფილისსა და ბაქოში ეწყობა რესპუბლიკური სკოლები პიონერ-მუშაკთა მოსამზადებლად. აღნიშნულ სკოლებში სწავლების ვადათ განსაზღვრულია სამი თვე.

მკერავთა საწარმოო - ტექნიკური საღამოები

21 დეკემბრიდან საქართველოს მკერავთა კავშირის ცენტრ. გამგეობა „მკერავის" ტფილისის ფაბრიკებში საუკეთესო დამკვრელთა მონაწილეობით აწყობს მთელ რიგ საწარმოო-ტექნიკურ საღამოებს, კულტმასობრივი მუშაობის, შრომის ხელფასის და შრომის საკითხებზე.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება გ. მუშიშვილის წიგნი „დიალექტიკური მატერიალიზმი". გამოცემა მეორე.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** 19 დეკემბერს, საღამოს 8 ს. შესდგება კ. კაპანელის მოხსენება „საფრანგეთის რევოლუცია და ევროპის ლიტერატურა". შესვლა თავისუფალია.

პარტკალენდარი

19 დეკემბერს საღამოს სრულ 6 საათზე საქ. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება საქ. მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. სანაძის საინსტრუქციო მოხსენება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შესამცირებლად მსუბუქი კავალერიის საკავშირო რეიდის მონაწილეთათვის. თათბირზე მოწვეულნი არიან: კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის უჯრედების მდივნები, მსუბუქი კავალერიის ჯგუფების ხელმძღვანელები და სახ. დაწესებულებათა კავშირის ცენტრ. გამგეობის ადგილკომების თავმჯდომარეები.

საქ. ც.ს.კ.—მუშგლეხინი.
საქ. კომკავშირის ც. კომიტეტი.

—:—

19 დეკემბერს საღამოს სრულ 7 საათზე ტფ. კომიტეტის აგიტმასგანყოფილებაში (ოთახი № 49) მოწვეულია თათბირი სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების ოპერატიული ცნობების საკითხზე. თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: კავკასიძე (სტალინის რაიკომი), შანიძე (სტალინის რაისაბჭო), მედისოვა („26"-ის რაიკომი), 26-ის სახელობის რაისაბჭოს საგეგმო ნაწილის გამგე, შავიშვილი (ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭო), მეძველია (ლენინის სახელობის რაისაბჭო), ჯანდიერი (ტფ. ალმ. საგეგმო განყოფილება), მზიძე (მსუბუქი მრეწვ. სახალხო კომისარიატი), როძევიჩი (მძიმე მრეწველობის სახ. კომ. რწმ. სამმართველო), მომარაგების სახ. კომისარიატის საანგარიშო-ეკონომიური განყოფილების გამგე, სარეწაო კავშირის საგეგმო განყოფილების გამგე, მაუდის ფაბრიკის, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, № 1-ლი, მეორე და მე-6 სამკერვალო ფაბრიკების, № 1-ლი და მეორე ტყავის ქარხნების, № 1-ლი და მე-2 ფეხსაცმელის ფაბრიკის, ბამბის, ქეჩის, ბამბის სართავი ფაბრიკების, საქტრიკოტაჟის, ფანერის ქარხნის, ავეჯეულობის ქარხნის, მექანიკური კონსტრუქციების ქარხნის, 26-ის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, კალინინის სახელობის და სპილენძის სატკეც ქარხნების ქიმკომბინატის, ზეთსახდელი ქარხნის, მაკარონის ფაბრიკის, საკონდიტრო ფაბრიკის, აგურის ქარხნების (ვაკე) და „ხისნაწარმის" საგეგმო განყოფილებათა გამგეები.

—:—

საქ. ც. საკ. კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ საქ. ც. საკ. კომისიის პარტკოლეგიაში (რუსთაველის პროსპ. № 24, მე-3 სართული, ოთახი № 7). ვინც არ გამოცხადდება მათი საქმე განხილული იქნება მათ დაუსწრებლად. ილია ზაქროს ძე სათაშვილი (ყოფ. კურსანტი), ბარდენ ხაბულიანი (სოფ. საბჭოების კურსების ყოფ. მსმენელი), სტეფანე ვლასის ძე ოვჩარენკო, ბარსეგ ალექსის ძე არუთინოვი, ულიანა თედორეს ასული ჩერნიკოვა, გიორგი გორდელაძე, ესტატე გიგიაშვილი (წყალკანალტრესტის ყოფ. მუშაკი), იოსებ ბესარიონის ძე ჭუმბურიძე, სამუელ სამუელიანი, გიორგი დიმიტრის ძე სალბიშვილი.

მიიღება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე" 1934 წლისათვის

ყველა საფოსტო განყ-ბაში და „სოიუზპეჩატის" ორგანიზატორებთან. ფასი 1 თვ.—2-50 კ., 1 წლ.—30 მ.

ოპერა	18 დეკემბერს 10 აბონ 7 წარ.	19 დეკემბერს 8 აბონ 8 წარ	20 დეკემბერს 12 აბ. 8 წარ.
	1. ჯამბაზები 2. ვალპურგიის ღამე	ევგენი ონეგინი	ტ ო ს კ ა

აბონენტები რომლებსაც ადგილი არ ექნებათ ძველ რიგი (მე-5) შესატანი 1 დღით ადრე თავის წარმოდგენამდი, ჰკარგავენ სპექტაკლზე დასწრების უფლებას და მათი ადგილი გაიყიდება. 1082

[illegible]	18 დეკემბერს 13 აბ 3 წარ	19 დეკემბერს 16 აბ. 3 წარ	20 დეკემბერს 10 აბონ 3 წარ
	ზაგმუკ	ზ ა გ მ უ კ	ქართა ქალაქი

20 დეკემბრიდან მე-4 ნაკადა ახადის დაფარვა სავალდებულოა. შეტანილი უნდა იქნას წარმოდგენის დღის 2 საათამდე

სალარო ღიაა 11—2, 5—9. დასაწყისი 8 ს.

[illegible]	15 დეკემბერს 16 აბონ 1 წარ	20 დეკემბერს 14 აბონ 3 წარ	21 დეკემბერს 7 აბ. 3 წარ
	კაკალ გულში	კაკალ გულში	კაკალ გულში

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11 ს.—2 ს. საღამოს 5 ს.—9. აბონენტების მიერ დეკემბრის 25-მდე დაფარული უნდა იქნეს მე-4 გადასახადი

[illegible] კინო თეატრები

ოქტომბერი—იმიაძი 30 8.30. 1[illegible]	სახლ. [illegible] ახალი ექსპერიმენტი ორლიჩ მონაწ. მულენ რუჟ
[illegible] 6-30, 7 [illegible] 9. 10-30.	ახლდ. სურ. რაფკე ქალიშვილი პრ. გარ. კოიუზკინის ქუჩ. № 28
[illegible] 30 8 30 10 [illegible]	მხატვრული სურათი პოეტი და მეფე პრ. კარეშე - ოქტ. 16 წლისთ. [illegible]
ლიუქსემბურგის [illegible] 7 [illegible] 9. 10-30	[illegible] ორი ოკეანე პრ. კარეშე—ს. [illegible] № 30
[illegible] -30. 7-30 9, 10-30	პატი და პატაშონი კომედ. პატი შუა ზღვაში პრ. [illegible] № 7
[illegible] ახელიგა [illegible]	ახა სტენი და გეიადი მიჩურინი სურათში „ჩემი შვილი"
[illegible] 5 9	საინსტრ. ტექნიკური ფილმი ხაჭითან
აბავშო [illegible] 10. 12 და	ლენინის მიამართი
რ ლიუქსემბურგის სახ. დღისით [illegible] 12. 1-30, 3	მხატვრული ფილმი სურამის ციხე

ხდება სატრიკოტაჟო არტელ

„ნართი"-ს ლიკვიდაცია

პრეტენზიები მიიღება 3 იანვრამდის.
პანასკევიჩის ქ. № 5. 1062

11 დეკემბერს ახლიდან გავიდა 24 წლის კაცი

ლევან იპოლიტეს-ძე ლოლაძე

აცვია შავი ხელი და ჩექმები ტახათ საშუალო. მპოვნელს ვთხოვ მაცნობოს ტფილისი, 3 კვ. ქობულეთის ქუჩა, პეტრიაშვილის სახლი,— ლ ო ლ ა ძ ე ს.

ღრმად დამწუხრებულნი: ქალიშვილი ეკიძი ძავრა ქართველიშვილი ზუმბულიძისა სიძე ექიმი ალიოშა ზუმბულიძე ძმის წული ვლადიმერ ქართველიშვილი იუწყებიან საყვარელ და დაუვიწყარ

გიორგი გრიგოლის-ძე ქართველიშვილის

გარდაცვალებას დაკრძალვა 21 დეკემბერს ს. ქვ. და სიმონეთში. 65

ხერვების სნეულებათა კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თავის თანამშრომლის ექიმ სოფიო ენუქიძის მამის

სპირიდონ ივანეს-ძე ენუქიძის

გარდაცვალებას. 24

დამწუხრებულნი: სოფიო შუშაია, ბიძინა და ქეთო (კაკუშა) იუწყებიან. რომ 18 დეკემბერს 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია მათი საყვარელი

ლადიკო და გოგონიკო ჩხაიძეების

სამოქალაქო პანაშვიდი. 32

უახლოესი მეგობრები: მარო კვირკველია, ნინა ღლონტი, ელენე აფხაზავა ქრისტინე ქუთელია, ელენე თუმანიშვილი თანაუგრძნობენ სოფიო ენუქიძეს მისი მამის

სპირიდონ ე ნ უ ქ ი ძ ი ს

გარდაცვალების გამო. 69

დამწუხრებული ბიძა ოხ. სიმე, ბიცოლა ელენე იაშვილები ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობართ

ივლიანე (კოკა) მდივნიშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 18 დეკემბერს 2 ს ძილიცის ქ. № 12, ვერის სასაფლაოზე 2[illegible]

ეკ. ჯავახიშვილი, ძმა თე ანა. შვილები: თინა თამარი, გივი. შოთა სიძე დ. თოფურია გამოსთქვამთ ღრმა მწუხარებას ოჯახის ახლო მეგობრის ძვირფას

კოკი მდივნიშვილის

გარდაცვალების გამო. 34

საქ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო პროფილაქტიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები მთელი შემადგენლობით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამთ ამავე კურსის სტუდენტის

ივლიანე (კოკა) მდივნიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო 75

ღრმად დამწუხრებულნი ქალიშვილი ლიზა, სიძე ხოე შვილებით თინა გიკა, ნათელა ნადარეიშვილები ძმა ილიკო ქართველიშვილი იუწყებიან მათვის უსაყვარლეს

გიორგი გრიგოლის-ძე ქართველიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 დეკემბერს ს. ქვედა სიმონეთში. 65

დამწუხრებული დედა თინა მამა ეფე, და ლეილა, ძმა კოტე ბაბუა კონსტანტინე ბებია მართა, ბიცოლა შურა შვილებით გელაშვილები იუწყებიან რომ 19 დეკემბერს დანიშნულია საყვარელი

ბ ი ბ ი ს

სამოქალაქო პანაშვიდი მანდაეთში. 67

ღრმად დამწუხრებული ბიძია ბესარიონი მეუღლე მატრონათი, მამიდები იუსტინა რებეკა ქმარშვილით, სარა ქმარშვილით, დეიდები ედუსი, ნინუცა იუწყებიან

მიშა სამსონის-ძე მ ე ლ ა ძ ი ს

გარდაცვალებას. დასაფლავება 19 დეკემბერს აფხაზეთში, სოფ. კოდორში. 1074

ღრმად დამწუხრებულნი: ბებია ხისო, დეიდები: მარო და ხადია ბიძა ვანო, ცოლი ქეთო და ცაბულო ყუფარაძეები აუწყებენ საზოგადოებას

პატარა ო ზ ი კ ო ს

უდროვოდ დაკარგვას. დაკრძალვა 18 დეკემბერს 3 საათზე ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება კოჩის ქ. № 8 77

სამუდამოდ გულმოკლული მამა სამსონი, ძმები: ბორია ბო დო, შურა, სერგო. რძლები ნინა, საშა, თამარა დასტირიან ახალ გაზრდა

მიშა სამსონის-ძე მ ე ლ ა ძ ი ს

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება სოფ. კოდორში 19 დეკემბერს. 74

ემო კვაბი კავშირის თანამშრომლები: ხიძარაძე, მთვრალაშვილი, ანთაძე თუშიშვილი ვადაჰკორია, კოტრიკაძე. ცინცაძე, კაკუა მწუხარებას გამოსთქვამენ კავშირის მთავარ ბუღალტრის ამხ რატიანის ძმის

ვანო რ ა ტ ი ა ნ ი ს

უდროოდ გარდაცვალების გამო. 12

სერაფიონი კოლია; ვარლამი ცოლშვილით ეფემია, აკოლინა. ბიძინა ხუცა, გურამი, ევა. ბადრი, ლუკა და ნინა ენუქიძეები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ბიძის

სარდიონ ივანეს-ძე ენუქიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 დეკემბერს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება განოვის № 7. 79

კოოპ. არტელი „წითელი ხალფი"-ს თანამშრომლები: დ. ბაბლუანი პ. თავაძე მ. მიქაძე, ს. ბარათაშვილი, ოხიანი, ი. შათარაშვილი. წარმოების მუშები მწუხარებას გამოსთქვამთ შუშანას ძმის

ვანიჩკა რ ა ტ ი ა ნ ი ს

უდროოდ გარდაცვალების გამო. 76

სამ. ინსტიტუტის დედათა და ბავშთა დაცვის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე კურსის სტუდენტის სათიკ დარჩიევას მამის

მიქირტიჩ დ ა რ ჩ ი ე ვ ი ს

გარდაცვალების გამო. 73

მეუღლე ივლიტა, შვილები: მარო, ჟორა, თამარა, და ძარღალიტა იუწყებიან. რომ დღეს 2 ს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ალექსი გიორგის ძე ქოიავას

ხსოვნის აღსანიშნავად ავლაბრის სასაფლაოზე 6

ბიძა დავით, ძალუა მარიამი, სიძე გიორგით. შვილებით ნინო, ირაკლი. ვახტანგით იუწყებიან, რომ დღეს 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის საყვარელ

ილია (ილუშა) პეტრიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 71

დამწუხრებულნი მშობლები გიორგი და კატო შვილებით მარო და ქრისტინე ჯლახტიაშვილები იუწყებიან მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 დეკემბერს 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება სტ ვოროპოლის ქ № 22. 63

გულმოკლული მშობლები სიმონ. მამიკო, დები: ნასტია, ქეთო მარუსა, ნინა. გოგუცა, სიძეები: ვანო, კოლია ისაკი, სანდრო იუწყებიან რომ 23 დეკემბერს ს განახლებაში (გურია) დანიშნულია დ უვიწყარი

ტარასი სიმონის-ძე აბუსერიძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 68

გულმოკლული მშობლები: დუსა, გიორგი შვილებით: კოლია. ალე, აგა და ეთერი, რძლები: ოლია, ელენე გულვერით, სიძე ვასო და გიორგი იუწყებიან

მარო ნ ა ს უ ა შ ვ ი ლ ი ს

დაკარგვას. დაკრძალვა სტალინისში 19 დეკემბერს. 70

დამწუხრებულნი სიდედრი კატია, ცოლისდები: ლიუბა, ფიდოსია ქმარშვილით, ძმები: პარმენი, ლუარსაბი, ბაგრატი რატიანები ცოლშვილებით იუწყებიან საყვარელი სიძის

ალექსანდრე (საშა) იმედაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 61

ცენტრალური კლინიკის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ სოფიო ენუქიძის მამის

სპირიდონ ივანეს-ძე ენუქიძის

გარდაცვალებას. 24

ს. მუდამოდ დაუბედურებული ცოლი ვალია, შვილები: ნოდარი და ოთარით იუწყებიან, რომ გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

მექი ანტონის-ძე გვილავას

ხსოვნის აღსანიშნავად ქ. ქუთაისში გოძოურას სასაფლაოზე 19 დეკემბერს 1 საათზე. 64

დამწუხრებული რძალი ნადია შვილებით: ეკატერინე, გიორგი, მეუღლე ნატათი თამარა. ხანო საყვარელიძეები სიძეებით: გიორგი მარკვილაძე კოტე თაქთარაშვილი იუწყებიან ძვირფას

ვალოდია საყვარელიძის

გარდაცვალებას გამოსვენება 18 დეკემბერს 2 ს. გუნიის ქ. № 42, ვერის სასაფლაოზე 78

ნინა მამუკას ასული ხოშოლავა, ვასო, მიშა და ვანო ლოლუები და ლილი პარკაია მწუხარებით იუწყებიან ძვირფას

სპირიდონ ივანეს-ძე ენუქიძის

გარდაცვალებას. 36

ფატი კაპეტივაძე, ბიჭიკო ნიჟარაძე ელიკო ალიხაშვილი, მაგლო ლიჟავა. სოხიკო მახარაძე ვგლოვობთ

ვანიჩკა რ ა ტ ი ა ნ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 ს. კოტე მესხის შეს. № 3. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 30

„სოიუზზაგოტშერსტი"-ს საქართველოს და ამ/კავკასიის კანტორის მუშა-მოსამსახურენი უღრმეს მწუხარებას უცხადებენ თანამშრომელ ანა გაბრიელის ასულ საყვარელიძეს მისი ძმის

ვლადიმერ გაბრიელის-ძე საყვარელიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 81

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68
მთავლიტის რწმუნებული ა 1529